ყვარლის მუნიციპალიტეტის „მედია ცენტრის“ გაზეთი
2017 წელი, 25 დეკემბერი, №22 (6459)

ყვარელი

გამოდის 1932 წლიდან

ფასი 40 თეთრი

ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სესიაზე

დამტკიცდა 2018 წლის ბიუჯეტი, რომელშიც შემცირებულია ადმინისტრაციული ხარჯები, დაზოგილი თანხა მიმართული იქნა სკოლამდელი აღზრდის სფეროში და ინფრასტრუქტურულ პროექტებში

2017 წლის 21 დეკემბერს გაიმართა საკრებულოს სხდომა, სხდომას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე დავით ქევხიშვილი. დღის წესრიგის თანახმად, განხილული იქნა დადგენილების პროექტი „ყვარლის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“. როგორც საკრებულოს თავმჯდომარემ აღნიშნა, დადგენილების პროექტში მთელი რიგი პარამეტრები შემცირებულია ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში, როგორიცაა წარმომადგენლობითი, მივლინების, საწვავის და სატრანსპორტო ხარჯები. დაზოგილი თანხა კი ძირითადად მიმართულია სკოლამდელი აღზრდის სფეროში და ინფრასტრუქტურული პროექტების ხარჯებში.

პროექტის შესაბამისად, ყვარლის მუნიციპალიტეტის 2018 წლის შემოსულობებია – 7 065,6 ათ. ლარი. გადასახადებიდან მიღებული შემოსავლები – 2 850.0 ათ. ლარი, საშემოსავლო გადასახადი – 350.0 ათ. ლარი, საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) – 1 200,0 ათ. ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) – 10,0 ათ. ლარი. სასოფლო – სამეურნეო დანიშნულების მიწაზე – 900,0 ათ. ლარი, არასასოფლო – სამეურნეო დანიშნულების მიწაზე – 390,0 ათ. ლარი, გრანტებიდან მიღებული შემოსავლები – 3 062,0 ათ. ლარი, გათანაბრებითი ტრანსფერი – 2 927,0 ათ. ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 135,0 ათ. ლარი, სხვა შემოსავლები – 600,7 ათ. ლარი, პროცენტებიდან მიღებული შემოსავლები – 70.0 ათ. ლარი, მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის – 229,0 ათ. ლარი, შემოსავალი მინის იჯარიდან და მართვაში – 10,0 ათ. ლარია, სანებართვო მოსაკრებელი – 20,0 ათ. ლარი; ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის – 12,0 ათ. ლარი; შემოსავლები მომსახურების გაწევიდან – 10,0 ათ. ლარი, ჯარიმები, სანქციები და საურავები – 249,7 ათ. ლარი, არაფინანსური აქტივების კლება – 552.9 ათ. ლარი, ძირითადი აქტივები – 356.8 ათ. ლარი, მიწა – 196.1 ათ. ლარი.

ყვარლის მუნიციპალიტეტის გადასახდელებია 7 065,6 ათ. ლარი, წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება – 2 020.1 ათ. ლარი მუნიციპალიტეტის საკრებულო – 416.3 ათ. ლარი, მუნიციპალიტეტის გამგეობა – 1 491.8 ათ. ლარი, სარეზერვო ფონდი – 50,0 ათ. ლარი. საპროექტო (ხარჯთაღრიცხვების) და აზომვითი სამუშაოების შედგენის ღირებულება – 50.0 ათ. ლარი. კახეთის მუნიციპალური განვითარების სააგენტო – 12,0 ათ. ლარი. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება 68.3 ათ. ლარი. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა – 68.3 ათ. ლარი, ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია – 1 565.5 ათ. ლარი. წყლის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებები – 255.0 ათ. ლარი, გარე განათების მოწყობა – რეაბილიტაციის ღონისძიებები – 300,0 ათ. ლარი, ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია – 290,0 ათ. ლარი, მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები – 114.5 ათ. ლარი, ა(ა)იპ ყვარლის კეთილმოწყობის სამსახური – 606,0 ათ. ლარი. განათლება – 1 558,9 ათ. ლარი. (პროგრამული კოდი 04 00), სკოლამდელი განათლება (ა(ა)იპ სკოლამდელი დაწესებულების გაერთიანება) 1 504,9 ათ. ლარი, წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია – 54,0 ათ. ლარი, კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი – 1 291.0 ათ. ლარი, სპორტული ღონისძიებების დაფინანსება – 30.0 ათ. ლარი, სპორტული ორგანიზაციების ხელშეწყობა – 419.0 ათ. ლარი, ა(ა)იპ ყვარლის კომპლექსური სასპორტო სკოლა 287.0 ათ. ლარი, ა(ა)იპ ყვარლის საფეხბურთო სკოლა – 75.0 ათ. ლარი, შპს ათლეტი – 8,0 ათ. ლარი, ფრენბურთის კლუბი – 30.0 ათ. ლარი. რაგბის კლუბი – 19.0 ათ. ლარი. კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა – 780.0 ათ. ლარი, ა(ა)იპ კულტურის დაწესებულების გაერთიანება – 465.0 ათ. ლარი. ა(ა)იპ სამუსიკო სკოლების გაერთიანება – 165.0 ათ. ლარი. ა(ა)იპ კულტურული მემკვიდრეობის სპორტულ-გამაჯანსაღებელი და დასასვენებელი ობიექტების დაცვისა და განვითარების ცენტრი – 150.0 ათ. ლარი. კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა – 3,0 ათ. ლარი, რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა, ნეკრესის ეპარქიის დაფინანსება – 20,0 ათ. ლარი. საგამომცემლო საქმიანობის დაფინანსება – 39,0 ათ. ლარი. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00) – 561.8 ათ. ლარი. ჯანდაცვის პროგრამები – 61,8 ათ. ლარი, სოციალური პროგრამები – 500,0 ათ. ლარი. ოჯახებისა და ბავშვთა სოციალური დაცვა – 100,0 ათ. ლარი, ა(ა)იპ უმწეოთა უფასო სასადილო – 100,0 ათ. ლარი. სოციალურად დაუცველ პირთა დახმარება – 260,0 ათ. ლარი. ა(ა)იპ საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება – 36,0 ათ ლარი, სარიტუალო ხარჯი – 4,0 ათ. ლარი.

დადგენილების პროექტი „ყვარლის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა დამტკიცებული. ასევე ერთხმად იქნა დამტკიცებული დადგენილება მიმდინარე წლის ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

სხდომაზე განიხილეს განკარგულების პროექტი „ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში წარსადგენი სამთავრობო კომისიაზე განსახილველი 2018 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხის მოწონების შესახებ“, დადებითად შეაფასეს პროექტების ნუსხა და ასევე ერთხმად დაამტკიცეს.

საკრებულოს სხდომაზე დამტკიცებული იქნა განკარგულება „მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის დამტკიცების შესახებ“, რომლის მიღების მიზანია: ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვა ნარჩენების წარმოქმნის და მისი უარყოფითი ზეგავლენის შემცირების გზით, ნარჩენების მართვის ეფექტიანი მექანიზმების შექმნა და ასევე მომსახურების გაუმჯობესება;

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სხდომაზე ასევე დაფუძნებული იქნა ორი ახალი ფრაქცია, ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“ და ფრაქცია „ქართული ოცნება – მრეწველები“.

საკვებ პროდუქტებთან მიმართებაში, ერთად უნდა დავიცვათ სანიტარიული ნორმის წესები

დღეს ქვეყანაში ერთ-ერთი პრობლემური საკითხი ჰაერის დაბინძურებაა, რომელიც მკვეთრად აისახება ხალხის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. განსაკუთრებით ეს იგრძნობა დიდ ქალაქებში, სადაც უამრავი ტრანსპორტი მოძრაობს და მისი თავიდან ასაცილებლად უკვე დიდი ხანია ისახება სხვადასხვა გზები და საშუალებები. მომავალი თაობების ჯანსაღად და სულიერად აღზრდაში დიდ როლს ასრულებს არა მარტო ჰაერი, არამედ სხვა კვებითი პროდუქტების ხარისხიც. თუ როგორი ხარისხის პროდუქტებს ვიღებთ დღეს ჩვენი რაიონის მცხოვრებლები, ამ საკითხზე გასაუბრება ვთხოვეთ რეგიონის სურსათის უვნებლობის სამსახურის ინსპექტორს, ბატონ ზურაბ ზურიაშვილს.

– ბატონო ზურაბ, როდიდან შეიქმნა ეს სამსახური, რამდენი თანამშრომელი ემსახურება და თუ არის სპეციალისტებით დაკომპლექტებული.

– თავისი სანიტარიული სპეციფიკიდან გამომდინარე ჩვენი მუშაობა საკმაოდ რთულია. ამ სფეროს რეგიონის მასშტაბით რამდენიმე ათეული კაცი ემსახურება. რეგიონი დაკომპლექტებულია საკმაოდ გამოცდილი ვეტერინარებით, სურსათის უვნებლობის და კიდევ ფიტოსანიტარიული სპეციალობით. ამ სფეროში დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში საქმეში ყველა ვერთვებით და ერთად გვიწევს მუშაობა. ძირითადად ჩვენს მიერ ხორციელდება პროდუქტების შემოწმება ბაგა-ბაღებში, სკოლებში, – სხვადასხვა სახის კვების ობიექტებში. მოგეხსენებათ, როგორ სწორადაც გინდა იყოს აწყობილი მუშაობა, დარღვევებს მაინც აქვს ადგილი; ასეთ შემთხვევებში ხდება ფულადი ჯარიმის დაწერა და მისი განმეორების შემთხვევაში კანონის გამკაცრება.

– რამდენად ხარისხიან პროდუქტს იღებს ჩვენი მომხმარებელი და თუ არის დაცული სანიტარიული ნორმების წესები. დავიწყოთ ხორცითა და ხორცის პროდუქტებით – ყვარელში ფუნქციონირებს პირუტყვის სასაკლაო. აკმაყოფილებს თუ არა სასაკლაო სტანდარტების მოთხოვნებს.

– ყვარელში ფუნქციონირებს პირუტყვის სასაკლაო და მინდა თამამად ვაღიარო, სამაცივრე დანადგარებიდან დაწყებული ყველა საფეხურზეა შემოწმებული. ეს სასაკლაო ყველანაირ სტანდარტს დადებითად პასუხობს და დარღვევებსაც ამ მხრივ არა აქვს ადგილი. მინდა ჩვენს მომხმარებლებს ავუხსნა, რომ სასაკლაოზე პირუტყვი დაკვლამდე 48 საათის განმავლობაში უნდა იმყოფებოდეს. დაკვლის შემდეგ ხორცი ყველანაირად შემოწმებული ინახება მოძრავ სამაცივრე დანადგარებში 8 საათის განმავლობაში, მისი სრული რეალიზაცია კი უნდა მოხდეს 48 საათის განმავლობაში. ჩემი ძირითადი მოვალეობაა შეუმოწმებელი ხორცი არ გავიდეს რეალიზაციაში.

– გზებზე გამოტანილ ხორცის პროდუქტებზე თუ ახდენთ კონტროლირებას, ასეთ შემთხვევაში რა სახის სანქციებს ახორციელებთ მათზე? თუ გქონიათ თქვენს მუშაობაში ასეთი შემთხვევები?

– სხვა რაიონებთან შედარებით ჩვენს რაიონში არა აქვს ადგილი გზებზე გამოტანილი ხორცის რეალიზაცია-გაყიდვას, რომელიც ხალხს ზიანს მოუტანს. მათ კარგადაა აქვთ ეს გათვითცნობიერებული და დაკვლისთანავე ახდენენ მის გაკონტროლებას. ასეთი პროდუქციის რეალიზაციას ძირითადად სადღესასწაულო დღეებში აქვს ხოლმე ადგილი. თუ არის მაღაზიებში დადებული პროდუქტი გენმოდიფიცირებული, ასეთ შემთხვევაში ეტიკეტს უნდა ეწეროს, რომ არის გენმოდიფიცირებული. ჩვენი მხრიდან ვახდენთ შემოწმებას სწორედ ეტიკეტზე და ასევე ჰიგიენური ნორმების დაცვაზე. გვქონდა ასეთი შემთხვევაც, რომ შემოტანილ მარილს ეწერა იოდიზირებული, მაგრამ შემოწმების შედეგად არ აღმოჩნდა იოდიზირებული. მსგავს შემთხვევებს შეიძლება ჰქონდეს ადგილი, ამიტომ ყოველთვის ვფრთხილობთ ეს ყველაფერი არ გამოგვეპაროს.

– როგორია ტექნიკური აღჭურვილობა და რამდენად ამართლებს თქვენი ლაბორატორია იმ მხრივ, რომ უხარისხო და შეუმოწმებელი პროდუქცია არ მივიდეს ჩვენს მომხმარებლამდე?

– ჩვენ ვართ მაკონტროლებელი ორგანო, რაც შეეხება ლაბორატორიას, ამის ფუფუნება არ გაგვაჩნია და ვსარგებლობთ თბილისში არსებული ლაბორატორიით. მინდა ხაზი გავუსვა იმასაც, რომ საქონელზე ვახდენთ რეგულარულ შემოწმებას, მაქსიმალურად ვუტარებთ აცრებს. მაშინ როცა ამ ბოლო ხანებში სხვადასხვა რეგიონში დაფიქსირდა ვერაგი დაავადების ჯილეხის შემთხვევები, 1955 წლიდან ჩვენს რაიონში არ დაფიქსირებულა ასეთი შემთხვევები.

გაგრძელება მე-7 გვ. -ზე



12 დეკემბერი (ახ. სტ.) – ხსენება წმიდა მღვდელმოწამე აბიბოს ნეკრესელისა (VI)

წმიდა აბიბოს ნეკრესელი, საქართველოში ჩამოვიდა VI საუკუნეში ცამეტ ასურელ მამასთან ერთად. ისინი უშუალოდ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა აკურთხა და გამოაგზავნა. მათ ცხოვრებაში სწერია, რომ ისინი იყვნენ „ღმრთისა სათნონი ნათელნი სოფლისანი, ჭურნი რჩეულნი სავსენი ნელსაცხებელითა, ზეცისა კაცნი და ქუეყანისა ანგელოზნი, განმანათლებელნი სოფლისანი, სახენი, წესნი და კანონნი უცთომელნი მონოზონებისანი“ და მათ შორის წმიდა აბიბოს ნეკრესელი, „მღვდელთმოძღუარი უბინოჲ, ნაყოფი შუენიერი, მხიარულებისა ჩუენდა მომღებელი და სულნელებისა ჩუენისა ჩუენდა მომფენელი. სანთელი მაღლად მნთებარე, მნათობი და განმანათლებელი ყოველთა მხილველთა მისთაჲ, შემნირველი უბინოდ ჯორცსა და სისხლსა ქრისტესსა, რომელმან თავიცა თჳსი შენირა მსხუერპლად მისსა მიმართ ჴელითა უსჯულოჲსა მარზპანისაჲთა“.

წავიდა მამა თავიდან ღირს იოანესთან და სხვა ძმებთან ერთად ზადენის მთაზე ცხოვრობდა, შემდგომ კი ევლავიოს კათოლიკოსის და იოანე ზედაზნელის კურთხევით წმიდა აბიბოსი ნეკრესს ჩავიდა და მოციქულებრივ ღვაწლს შეუდგა. მადლმოსილი მსახურებისთვის წმიდა აბიბოსი „იქმნა... ეპისკოპოზ, მწყემსი გაღმა-მჴრისა დიდოთურთ. ამან მოაქცივნა უმრავლესნი მთიულნი“, – წერს ვახუშტი ბაგრატიონი „ქართლის ცხოვრებაში“.

ამ დროს საქართველოში ცეცხლთაყვანისმცემელი სპარსელები ბატონობდნენ და ყველა ძალას ხმარობდნენ თავიანთი ცრუ სარწმუნოების გასავრცელებლად. მათ მრავალგან ააგეს ბომონები, სადაც ჩაუქრობლად ენთო ცეცხლი. მაზდეანები ზარ-ზეიმით აღასრულებდნენ თავიანთ ბოროტ წესებს და ქართველთა გადადრეკას ცდილობდნენ. წმიდა აბიბოს ნეკრესელი დაუღალავად დადიოდა თავისი ეპარქიის სოფლებსა და დაბებში, ჭეშმარიტებას უქადაგებდა ქართველებს და სიმტკიცისკენ მოუწოდებდა. ერთხელ წმიდა მღვდელმთავარმა ნახა, რომ მოგვები აიძულებდნენ ქართველებს, თაყვანი ეცათ ცეცხლისთვის, ვეღარ მოითმინა ბოროტება, წყალი დაასხა ცეცხლს და ჩააქრო. განრისხებულმა მოგვებმა შეიპყრეს წმიდა აბიბოსი, სასტიკად სცემეს და ცოცხალმკვდარი საპყრობილეში ჩააგდეს. შემდგომ ეს ამბავი აცნობეს სპარსეთის მარზპანს, რომელიც ამ დროს სოფელ რეხში იმყოფებოდა. მარზპანმა ბრძანა, მისთვის მიეგვარათ წმიდა აბიბოსი.

წმიდა აბიბოსი შავმთელი სასწაულთმოქმედის, ღირსი მამის სვიმონ მესვეტის (ხს. 1 სექტემბერს) მეგობარი იყო. ღირს სვიმონს ღმრთისგან ეუწყა წმიდა აბიბოსის მომავალი წამების შესახებ და ეპისტოლე, ევლოგია და კვერთხი გამოუგზავნა წმიდა მამას. სოფელ იალდოს მიღწეულ აბიბოსს ანტიოქიიდან წამოსული მოციქული შემოხვდა და ღირსი სვიმეონის საჩუქარი გადასცა.

ეპისტოლემ და ძვირფასმა საჩუქარმა გაახარა და განამტკიცა ტანჯვისთვის განმზადებული წმიდა მღვდელმთავარი. გზად მას ქართველები დახვდნენ და განთავისუფლების იდეა შესთავაზეს. წმიდა აბიბოსმა არ მიიღო წინადადება.

მღვდელმოწამემ მტარვალებს სთხოვა, წმიდა შიო მღვიმელის ნახვის უფლება მიეცათ მისთვის. სპარსელები დათანხმდნენ. წმიდა მამებმა მოიკითხეს ერთმანეთი და ერთად ილოცეს. შემდეგ წმიდა ეპისკოპოსმა სასწაულთმოქმედ მეუდაბნოეს სთხოვა, ელოცა მისთვის. წმიდა შიომ უთხრა: „ვიცი, მამაო მფლობელო, რამეთუ დაშრატე ცეცხლი იგი მათი სრულიად, რომელსა ესვიდეს უსჯულონი იგი, არა-რაჲთამცა შენისა ღმრთისა წარგჳყვანნე?“ ნეტარმა აბიბოსმა კვლავ მშვიდად მიუგო: მე ღმერთი კი არ მომიკლავს, მხოლოდ ცეცხლი დავშრიტე. ცეცხლი ღმერთი კი არ არის, ბუნების ნაწილია, ცეცხლი შეშის დაწვით წარმოიქმნება, მცირედმა წყალმა ჩააქრო, რადგან წყალი უფრო ძლიერი აღმოჩნდა და მოკლა იგი. „აწ მიკჳრს თქუენი ესევითარი სიცოფე, ვითარ არა სირცხჳლ გიჩნს მისი სახელის დებად ღმრთად, რომელსა ესეოდენი სული აქუს?“ მარზპანი საშინლად განარისხა წმიდა მღვდელმთავრის ასეთმა პასუხმა და მისი წამება ბრძანა.

ჯალათებმა საშინლად ტანჯეს ნეტარი აბიბოსი და ბოლოს ქვითა განტვინეს“. მისი წმიდა ცხედარი ქალაქგარეთ გაათრიეს, უპატიოდ დააგდეს ცხოველთა და ფრინველთა საჯიჯგნად და მცველები მიუჩინეს, რომ ქრისტიანთაგან არავის წაესვენებინა და პატივით არ დაეფლა წმიდანის ნეშტი.

ღამით რეხის მღვდლები და ბერები მივიდნენ და დიდი პატივით დაასაფლავეს წმიდა მღვდელმოწამის ცხედარი სამთავისის მონასტერში. ქართლის ერისთავის, სტეფანოზის დროს წმიდა მღვდელმოწამის უხრწნელი ნაწილები სამთავსიდან მცხეთის სამთავროს მონასტერში გადაასვენეს და დაკრძალეს წმიდა ტრაპეზის ქვეშ.

ქართველ წმინდანთა ცხოვრება

ნიკოლოზობა

ქართული მართლმადიდებლური ეკლესია 19 დეკემბერს ნიკოლოზობის დღესასწაულს – წმინდა ნიკოლოზ სასწაულთმოქმედის დღეს აღნიშნავს.

წმინდა ნიკოლოზ სასწაულთმოქმედი საქართველოში ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ერთ-ერთ მფარველად ითვლება. მარტო თბილისში წმინდა ნიკოლოზ სასწაულთმოქმედის სახელობის ხუთი ეკლესიაა.

წმინდა ნიკოლოზი დიდი სიყვარულით სარგებლობს ხალხში, მას სასოებით უხმობს ყველა გასაჭირისას და იგიც მსწრაფლ შეეწევა ხოლმე მათ. ყველაზე მეტად წმინდანს მეზღვაურები სცემენ თაყვანს.

წმიდა ნიკოლოზ სასწაულთმოქმედი მცირე აზიაში, ლუკიის მხარის ქალაქ პათარაში ქრისტეს შობიდან 257 წელს დაიბადა. მის მშობლებს თეოფანეს და ნონას დიდხანს არ ჰყავდათ შვილი. ისინი ძალიან მდიდრები იყვნენ და თავიანთი ქონებიდან გაჭირვებულთათვის უამრავ მოწყალებას გასცემდნენ. ამის გამო ადამიანთა სიყვარულითა და პატივისცემით იყვნენ გარემოსილნი. ამ სათნოებისათვის და ღვთისმოშიში ცხოვრებისათვის, აგრეთვე გულმხურვალე ლოცვისათვის ღმერთმა მათ ვაჟი უბოძა, მომავალი მღვდელმთავარი და სასწაულთმოქმედი. სასწაულთმოქმედების უნარი წმინდა ნიკოლოზმა შობიდანვე გამოამჟღავნა.

სიყრმიდანვე უყვარდა სახარების კითხვა, ტაძარში სიარული და დიდ დროს უთმობდა გულმოდგინე ლოცვებს. მშობლებიც უწყობდნენ ხელს ბიჭს ასეთი ხასიათის ჩამოყალიბებაში. ისინი არა მარტო სახლში, გზაშიც კი არ წყვეტდნენ ნიკოლოზის ქრისტიანულ აღზრდას და მათი სწავლება ისე მტკიცედ გაუჯდა ბავშვს, რომ ბავშვობიდანვე შეიყვარა გლახაკები. არასდროს ისე არ ჩაუვლიდა, სანუგეშო სიტყვა რომ არ ეთქვა და მოწყალება არ მიეცა მათთვის. ამის შემხედვარე ბიძამ, პათარას ეპისკოპოსმა, დაარწმუნა მშობლები, მიეცათ შვილი ღვთის სამსახურში და მათი ნებართვით აიყვანა იგი მღვდლის ხარისხში.

წმინდა ნიკოლოზს არასდროს შეუწყვეტია ტანჯულთა შემწეობა, დამცირებულთა და უსუსურთა განმტკიცება, სათნო საქმეების კეთება. მღვდელთმთავრობისას კი უფრო მკაცრ მოსაგრეობას ეწეოდა, იყო განუწყვეტლივ მღვიძარებაში, მკაცრ მარხვასა და ლოცვაში, სულ უფრო მაღლა და მაღლა ინევდა სრულყოფილების საფეხურებზე, სულ უფრო უახლოვდებოდა უსხეულო მდგომარეობას.

როცა მისი მშობლები გარდაიცვალნენ და მას მდიდარი მემკვიდრეობა დაუტოვეს, წმინდა ნიკოლოზმა მთელი ეს ქონება ღარიბ-ღატაკ ადამიანს შესწია. ყოველივე ამას აკეთებდა უჩუმრად, სხვებისაგან დამალულად.

შემდეგ იგი პალესტინაში გაემგზავრა წმიდა ადგილების თაყვანსაცემად. პალესტინაში წმინდა ნიკოლოზმა მოიარა ყველა წმინდა ადგილი, თაყვანი სცა უფლის საფლავს, გულმხურვალედ ილოცა გოლგოთაზე, უფლის ჯვარცმის ადგილზე. არსებობს გადმოცემა, რომ იერუსალიმის ტაძრის კარები ნიკოლოზის მიახლოებისას თავისთავად გაიღო და იგი დაუბრკოლებლივ შევიდა მასში.

სამშობლოში დაბრუნებული ნიკოლოზი ქალაქ მირონში წავიდა. იქ იგი ეპისკოპოსად აირჩიეს. აძლიერებდა წმინდა ნიკოლოზი თავის სამწყსოს. იგი მფარველი ანგელოზივით ეცხადებოდა ყველა დევნილს, თავისი სათნო სიტყვითა და ნუგეშით ამხნევებდა ყველას. ამისთვის იგი შეიპყრეს და სხვებთან ერთად დილეგში ჩააგდეს. იგი მხნედ იტანდა შიმშილს, წყურვილს, ტანჯვას. საპყრობილეშიც ქადაგებდა ღვთის სიტყვას, გასცემდა მოწყალებას. ანუგეშებდა იქ მყოფთ თავისი საუბრებით, საპყრობილეც საქადაგებელ ადგილად აქცია. 8 წელი გრძელდებოდა ასე.

გავიდა დრო და მდგომარეობა გამოკეთდა. კონსტანტინე დიდმა, რომელიც დიოკლიტიანეს შემდეგ გახდა იმპერატორი, ქრისტიანთა მფარველობა იწყო და თვითონაც ქრისტიანი გახდა.

მრავალი სასწაული მოახდინა წმინდა ნიკოლოზმა. კარგა ხანს იცხოვრა მღვდელმთავარმა თავის სამწყსოსთან ერთად. დაუღალავად ქადაგებდა ღვთის სიტყვას, თავადაც მაგალითი იყო ქრისტიანული ცხოვრებისა და მოღვაწეობისა. ჩაგრულნი მასში პოულობდნენ



მსწრაფლშემწეს და მცველს, უბედურნი – მწყალობელს და ნუგეშინისმცემელს; მასთან მოსაუბრენი რწმენაში მტკიცდებოდნენ, წარმართნი სამუდამოდ უარყოფდნენ წარმართობას და ქრისტეს რწმენის მიმდევრები და აღმსარებლები ხდებოდნენ.

წმინდა ნიკოლოზი 342 წლის 6 დეკემბერს ღრმად მოხუცებული (85 წლისა) გარდაიცვალა. მისი სხეული საზეიმოდ დაკრძალეს ქალაქის საკათედრო ტაძარში. მისი უხრწნელი ნაწილები მაშინვე გამოსცემდნენ კეთილსურნელებას და მირონს. მისი შეხებით სნეულნი იკურნებოდნენ. მრავალი საოცრებანი ხდებოდა მის კუბოსთან. ამის შესახებ ამბები სწრაფად გავრცელდა მთელს ქვეყანაში და მლოცველთა ტალღამ ტაძრისაკენ იწყო დენა.

წმინდა სასწაულთმოქმედი სიკვდილის შემდეგაც არ სტოვებს თავის სამწყსოს, დღესაც მფარველობს მწუხარეთ და ტანჯულთ, განსაცდელში მყოფთ, მძიმე სნეულთათვისაც კვლავ წარმოადგენს კურნების უშრეტ წყაროს. სიკვდილის შემდეგ მამა ღმერთმა მეტი სასწაულთმოქმედების ნიჭი უბოძა. მისი ამქვეყნიური ცხოვრება მხოლოდ დასაწყისი იყო იმ მრავალრიცხოვანი საოცრებებისა, იმ სიკეთისა და სათნოებებისა, რომელთა კეთებასაც იგი დღესაც განაგრძობს.

ბარბარობა – როგორ აღნიშნავდნენ დღესასწაულს საქართველოს კუთხეებში

წმიდა ბარბარეს ცხოვრებისა და საქართველოს კუთხეებში ამ დღესასწაულის აღნიშვნის ტრადიციების შესახებ გვესაუბრება ნინო ღამბაშიძე (ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი): „ბარბარობა ქრისტიანული დღესასწაულია და 17(4) დეკემბერს აღინიშნება. ფინიკიის ქ. ილიოპოლისის მდიდარი და წარჩინებული მოქალაქის, დიოსკორეს მშვენიერი ქალიშვილი ბარბარე (შემდგომში წმინდა დიდმოწამედ ცნობილი) იმპერატორ მაქსიმიანეს დროს (305 – 311წწ.)ცხოვრობდა და ეწამა. დიოსკორემ გადაწყვიტა წმინდა ბარბარე ფარულად აღეზარდა. ამისთვის თავის მამულში კოშკი ააშენა, რომელშიც ბარბარეს გარდა მხოლოდ მისი წარმართი აღმზრდელი და მასწავლებლები ცხოვრობდნენ. ღვთის განგებით და ნებით, ალექსანდრიიდან ილიოპოლისში ვაჭრად გადაცმული მღვდელმთავარი ჩავიდა. მოხდა ისე, რომ მღვდელმთავარმა ბარბარე ქრისტიანულად მონათლა. დიოსკორე მდიდრულ აბანოს აშენებინებდა. ნაგებობის სამხრეთ კედელში დიოსკორეს ბრძანებით მუშები ორი სარკმლის დატანებას აპირებდნენ. ბარბარემ ისარგებლა მამის შინ არყოფნით და წმინდა სამების ნათელის ნიშნად, სიმბოლოდ მუშებს მესამე სარკმელიც გააკეთებინა. აბანოს შესასვლელში წმინდა ბარბარემ თავად გამოსახა ჯვარი. აბანოს ქვის საფეხურზე საკუთარი ნაფეხური აღბეჭდა, რომლიდან მოგვიანებით დიდი ძალის მქონე წყალმა ამოხეთქა. დაწყლულებული და დამუწუკებული ავადმყოფები განსაკურნებლად ამ წყლთან მიდიოდნენ.როდესაც დიოსკორემ ქალიშვილის გაქრისტიანების შესახებ შეიტყო, განრისხდა. რისხვისგან გონებდაკარგულს მახვილით უნდოდა მისთვის თავი მოეკვეთა. ბარბარე გაექცა მამას და მთას მიაშურა, რომელიც გადაიხსნა და წმინდანი დიდ ნაპრალში შეიფარა. წმ. ბარბარემ აქ, ამ ნაპრალში დაიწყო ცხოვრება. ერთხელაც დიოსკორემ ორი მწყემსის დახმარებით იმ გამოქვაბულს მიაგნო, სადაც ბარბარე ცხოვრობდა. მამამ ქალიშვილი დაუნდობლად სცემა, დილეგში ჩააგდო, მცველები მიუჩინა და დიდხანს აშიმშილა. ამის შემდეგ ქალაქის თავს მარტიანეს გადასცა. მარტიანეს ბრძანებით წმ. ბარბარე სასტიკად აწამეს, რის შემდეგაც დიოსკორემ, საკუთარმა მამამ, მას თავი მოკვეთა. ამ დროს ციდან ელვის სახით ცეცხლი გადმოვიდა და დიოსკორე და მარტიანე დაწვა. წმინდა ბარბარეს წმინდა ნაწილებზე მრავალ ქვეყანაში აიგო ტაძარი, სადაც ხალხი წმინდანს ინფექციური დაავადებებისაგან, შავი ჭირისაგან განკურნებას, უეცარი სიკვდილისაგან, მეხისა და ცეცხლისაგან თავის დაცვას სთხოვდა. ასევე იყო ჩვენშიც. წმ. ბარბარე და ბარბარობის დღესასწაული საქართველოში ბავშვთა ინფექციურ დაავადებებთანაა დაკავშირებული. წმინდა ბარბარეს საქრისტიანოში ბავშვთა მფარველად და შემწედ, ასევე საქონლის მკურნალადაც მიიჩნევენ. ბარბარობა, დასავლურ ქართული ტრადიციით, დღესასწაულების დასაწყისი იყო. სვანეთში მას ბარბოლ/ბარბლაშს ეძახიან. სვანეთში დღესასწაულის წინა ღამეს ახალგაზრდები, ძველად კი მოხუცები, ეკლესიის ეზოში წინასწარ მომარაგებული შეშით ანთებდნენ დიდ კოცონს და შუაღამემდე ამ ცეცხლთან ატარებდნენ და ილხენდნენ. სამეგრელოში კი თვლიდნენ, რომ ამ დღის მზე ერთი ნაბიჯით უკან ხტებოდა და იწყებოდა დღის გადიდება. ხალხის რწმენით, რა დღესაც ბარბარობა მოდის, იმ დღეს ემთხვევა ახალი წელი და სხვა „ბედნიერი“ დღეები. თითქმის მთელ საქართველოში ბარბარობას ოჯახში მეკვლე მოდიოდა. იგი ბედობის დღედ ითვლებოდა. ხალხი უქმობდა, ზოგან რამდენიმე დღესაც კი. ვინაიდან ეს დღე ბედობის დღე იყო, ერთმანეთთან სტუმრობას ერიდებოდა. რაჭასა და ლეჩხუმში აუცილებლად უნდა გამოეცხოთ სართვიანი ტაბლა (გულიანი რიტუალური პური), რადგან გავრცელებული რწმენის მიხედვით, ბარბარობა დღეს უსართვო/ გულცარიელი ე. ი. უნიგვზოდ, უკვახისგულოდ ან ულობიოდ გამომცხვარი ტაბლა, მთელი წლის მანძილზე ოჯახში სიცარიელეს, უბარაქობას გამოიწვევდა. იმის გამო, რომ ბარბარობა მარხვაში მოდიოდა, სადღესასწაულო სუფრა სამარხვო საჭმელებისაგან შედგებოდა. ამ დღისთვის სხვადასხვა კუთხეში სხვდასხვა რიტუალური პურები ცხვებოდა: სართვიანი (ლობიანი პურები), ჯვარსახიანი განატეხი (ლობიანი), ნიგვზიანი განატეხი, კვახკაკლიანი პურები, საბარბარო ტაბლა (რიტუალური პური) ამ დღეს ლობიანი ყველგან უნდა გამომცხვარიყო, თუმცა სვანეთში რძის ფაფა და ყველიანი პურებიც ცხვებოდა. რადგანაც ბარბარობა ბედობის დღედ ითვლებოდა, იცოდნენ მეკვლეობა. მეკვლე (ახალი წლის მსგავსად) იყო როგორც შინაური, ასევე გარეშე. შინაური მეკვლე აუცილებლად ქალი უნდა ყოფილიყო, გარეშეს არ ჰქონდა მნიშვნელობა. შეიძლება ყოფილიყო კაციც, ქალიც და ბავშვიც. მთავარი იყო ის, რომ მეკვლეს კარგი ფეხი ჰქონოდა. თუ მეკვლე ფეხბედნიერი გამოდგებოდა, ოჯახი შემდეგ წელსაც მას მიიწვევდა. სვანეთში ეს დღე საქონლის, კერძოდ კი ძროხის და წველადობის მომატებისათვის იყო განკუთვნილი, რაჭასა და ლეჩხუმში კი საქონლის, ქათმის და ადამიანის ჯანმრთელობისათვის; ასევე ნათესების სიუხვისათვის. სამეგრელოში, იმერეთსა და გურიაში იგი ქათმების ფერხვის (მეკვლეობის) დღე იყო. გურიაში ბარბარობა ექიმბაშ ქალთა დღესასწაულად ითვლევბოდა. ხალხის რწმენით წმინდა ბარბარე სიცოცხლეში თავად კურნავდა ავადმყოფებს. ექიმბაშ ქალებს იგი თავიანთ მფარველად მიაჩნდათ და ხშირად მიმართავდნენ დახმარებისთვის. ამ დღეს ისინი ლოცულობდნენ და წმინდანს შესთხოვდნენ, რომ მათ წამლებს ავადმყოფების განკურნება შეძლებოდათ. აღმოსავლეთ საქართველოს ბარში აცხობდნენ ნიგვზის გულიან ქადებს, რომლებიც გზაჯვარედინზე გაჰქონდათ, ჭრიდნენ და გამვლელ-გამომვლელს ურიგებდნენ, რომ ბავშვებს ინფექციური დაავადებები მშვიდობიანად მოეხადათ. ოჯახში იშლებოდა სუფრა, ანთებდნენ სანთლებს, ზოგი შვიდი ანგელოზის სახელზე შვიდ კაკალს ჩაგდებდა ცეცხლში, ზოგიც ხატისთვის დიდ ქადას, ცხრაფურცელას, გამოაცხობდა. ბარბარეს სახელობის ეკლესიაში მისული მლოცველი მამალს შეაფრენდა“.

საქართველოში მარიხუანას მოხმარებაზე გაუქმდა სისხლის სამართლებრივი დევნა, თუმცა კანონი ჯარიმას მაინც ითვალისწინებს

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ადამიანის უფლების დარღვევად აღიარა ნორმა სისხლის სამართლებრივი დევნის, მით უმეტეს პატიმრობის შესახებ, მარიხუანას განმეორებითი მოხმარების შემთხვევაშიაც კი.

თუმცა, სპეციალისტები განმარტავენ, რომ მარიხუანას მოხმარების დეკრიმინალიზაცია სულაც არ ნიშნავს მის ლეგალიზებას.

ბოლო დრომდე ექიმის დანიშნულების გარეშე მარიხუანას განმეორებითი მოხმარების შემთხვევაში დამრღვევს, სსკ-ის თანახმად, ელოდა ჯარიმა 120-დან 180 დღემდე ვადით გამასწორებელი სამუშაოები ანდა თავისუფლების აღკვეთა ერთ წლამდე ვადით.

მარიხუანას მოხმარების შემთხვევაში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არაკონსტიტუციურად სასამართლომ ჯერ კიდევ 2015 წლის ოქტომბერში აღიარა.

სისხლის სამართლის სასჯელის გაუქმება მარიხუანას ლეგალიზებას არ ნიშნავს. ამ ნივთიერების მოწევა ისევ უკანონოდ მიიჩნევა, თუმცა ამიერიდან ის მხოლოდ ადმინისტრაციულ სასჯელს – 500 ლარის ოდენობის ჯარიმას გულისხმობს.

„მარიხუანა რჩება დასჯადი. არავის არ ჰქონდეს იმის თაობაზე ილუზია, რომ მარიხუანას ლეგალიზება ხდება. საუბარია იმაზე, რომ გაყიდვა, გასაღება, გადაცემა რჩება დასჯადი, უბრალოდ, პირადი მოხმარების მიზნით და დადგენილი რაოდენობის აღმოჩენის შემთხვევაში აღარ იქნება ნასამართლეობა სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით. იქნება მხოლოდ ადმინისტრაციული სასჯელი“, – განაცხადა საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ აკაკი ზოიძემ.

5 გრამამდე გამხმარი მარიხუანა და 10 გრამამდე ნედლი – ეს ის რაოდენობაა, რომელიც განიხილება, როგორც პირადი მოხმარების ნარკოტიკი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ მარიხუანას მომხმარებლებს ეხება.

„ბალახის“ შეძენა, შენახვა, მით უმეტეს რეალიზება სისხლის სამართლის დასჯად დანაშაულად რჩება. თუმცა 2016 წლის სექტემბერში 70 გრამამდე მშრალი და 100 გრამამდე ნედლი მარიხუანას შეძენა-შენახვისთვის სასჯელი შერბილდა. ამ შემთხვევაში სასჯელის ზომად თავისუფლების აღკვეთა არ გამოიყენება.

ნარკოტიკების რელიზება, მათ შორის მარიხუანასი, საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე მძიმე დანაშაულად რჩება.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, მარიხუანას მოხმარებისთვის მსჯავრდებულებს მოეხსნებათ ნასამართლეობა და ჩამორთმეულ უფლებებს აღუდგენენ.

„მარიხუანას მოხმარების გამო გასამართლებული პირებს შეუძლიათ განაჩენების გადასინჯვა, ასევე მათ შეუძლიათ ნასამართლობის მოხსნა და ჩამორთმეული უფლებების აღდგენა, მათ შორის შრომითი უფლებები და მართვის მოწმობის უფლება.

მარიხუანას დეკრიმინალიზაცია გამოიწვევს თუ არა მომხმარებელთა რაოდენობის ზრდას – ეს არის ყველაზე აქტუალური საკითხი დღეს.

უკანასკნელი წლების განმავლობაში მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში არაერთხელ იქნა დასმული საკითხი მარიხუანის, როგორც „მსუბუქი ნარკოტიკის“ ლეგალიზაციის შესახებ.

ამაზე საუბრობენ როგორც ექიმები, ასევე პოლიტიკოსები. რას შეიძლება ველოდოთ და რა შედეგები შეიძლება მოიტანოს მარიხუანას ლეგალიზაციამ?მის ლეგალიზაციას ჰყავს როგორც მომხრეები, ასევე მოწინააღმდეგეები. ორივე მხარეს თავისი არგუმენტები გააჩნია.

ლეგალიზაციის მომხრეები მთავარ მიზეზად ორ ძირითად არგუმენტს ასახელებენ:

პირველი და ყველაზე მთავარი არგუმენტი – ლეგალიზაციის შემდეგ იმ ახალგაზრდების რიცხვის საგრძნობი შემცირება, რომლებიც მოიხმარდნენ „მძიმე ნარკოტიკებს“.

ეს შეიძლება პარადოქსალურად ჟღერდეს, მაგრამ სწორედ ასე მოხდა ჰოლანდიაში, სადაც მარიხუანა ჯერ კიდევ 1970 წელს გახდა ლეგალური და მისი მოხმარება თავისუფლად არის შესაძლებელი კაფეებსა და ჩილიმ-ბარებში.

მას შემდეგ იმ ჰოლანდიელთა რიცხვი, რომელიც მოიხმარს მარიხუანას, სტაბილურად შეადგენს 600-700 ათასი ადამიანს. მაშინ როცა მძიმე ნარკოტიკს მოიხმარს მხოლოდ 15 000 ადამიანი.

ჰოლანდიელმა ახალგაზრდობამ ფაქტიურად თავი დაანება ისეთი „მძიმე“ და საშიში ნარკოტიკის მოხმარებას, როგორიცაა ჰეროინი. გარდა ამისა გაცილებით შემცირებულია კოკაინის მომხმარებელთა რაოდენობაც.

„მძიმე ნარკოტიკების“ დოზის გადამეტებით დაღუპულთა რიცხვი ჰოლადიაში არ აღემატება წელიწადში 40 ადამიანს, რაც ყველაზე დაბალი მაჩვენებელია მთელს მსოფლიოში.

ამას გარდა ჰოლანდიელ ნარკომანებში ძალიან იშვიათია შიდსით დაავადების შემთხვევები.

მეორე არგუმენტი – მარიხუანას ბაზაზე დამზადებული პრეპარატების გამოყენება სამედიცინო თვალსაზრისით. კანაფის შემცველ პრეპარატებს გააჩნია ტკივილგამაყუჩებელი და ღებინების საწინააღმდეგო ეფექტი, გამოიყენება ასთმის, მძიმე სკლეროზის, გლაუკომის და ა.შ დაავადებების წინააღმდეგ.

ეს საკითხი მაღალ დონეზე განიხილება კანადაში და დიდ ბრიტანეთში, ასევე ამერიკის შეერთებულ შტატების ზოგიერთ შტატში, სადაც განიხილება კანონპროექტები, რომელიც შესაძლებელს გახდის მარიხუანას სამედიცინო თვალსაზრისით გამოყენებას (ზოგიერთ შტატში უკვე დაშვებულია კიდეც).

ლეგალიზაციის მოწინააღმდეგეები არანაკლებ ლოგიკურ დასკვნებს აკეთებენ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მათი არგუმენტებიც არანაკლებ დამაჯერებელია:

პირველი არგუმენტი – მოსახლეობის რეაქცია, როცა თავისუფალ გაყიდვაში იქნება ნამდვილი, თუნდაც „მსუბუქი ნარკოტიკი“, ვერ იქნება ისეთი, როგორიც კონკრეტულ ერთ ქვეყანაშია და ყველა სახელმწიფოში ვერ დამთავრდება ისეთივე წარმატებით, როგორც ეს ჰოლანდიაში მოხდა.

იმისათვის, რომ ადამიანები მიეჩვიონ ლეგალურ ნარკოტიკებს, ამისთვის საჭიროა მისი მოხმარების განსაზღვრული კულტურა (ანალოგიური, როგორიცაა მაგალითად ალკოჰოლური სასმელების მოხმარების კულტურა).

ამის გარეშე, მარიხუანას ლეგალიზაცია მხოლოდ ნარკომანიის გაზრდას შეუწყობს ხელს.

მეორე არგუმენტი – მარიხუანის გამოყენებას სამედიცინო თვალსაზრისით ასევე გააჩნია შემდეგი უარყოფითი მხარეები:

მართალია მისი ეფექტურობა არ დგას ეჭვქვეშ, და ამ მხრივ კანაფს კონკურენტი არა ჰყავს, მაგრამ გასათვალისწინებელი და სიღრმისეულად შესასწავლია თანმდევი ეფექტები, რომელიც შეიძლება თან ახლდეს ასეთი პრეპარატების მოხმარებას.

სამწუხაროდ, თანმდევი ეფექტები ხშირად უარყოფითია ხოლმე. ამიტომ, ჯანსაღი მიდგომისა და გონივრული დასკვნების გამოტანის უნარის გარეშე მარიხუანის მოხმარებას ვერ ექნება ნეიტრალური შედეგები.

აღსანიშნავია, რომ რთულია არა მხოლოდ ლეგალიზაციის შედეგების გაკონტროლება, არამედ მხოლოდ სამედიცინო მიზნით მარიხუანის გამოყენებაზე კონტროლი.

არსებობს სხვადასხვაგვარი აზრი მარიხუანას მოხმარების და ზეგავლენის შესახებ. რამდენად შეესაბამება სიმართლეს ის მოსაზრება, რომ ალკოჰოლი და თამბაქო უფრო საზიანოა ვიდრე მარიხუანა.

ამასთან დაკავშირებით ნარკოლოგების აზრი ცალსახაა:

- მარიხუანა იწვევს თვალის ლორწოვანი გარსის შესიებას, თვალის ანთებას;
- მარიხუანა იწვევს ჰულსის გახშირებას, გულისცემის გაძლიერებას;
- მარიხუანა იწვევს არტერიული წნევის მომატებას ან დაცემას;
- მარიხუანა არღვევს მოძრაობის ფუნქციებს;
- მარიხუანა იწვევს მოთენთილობას;
- მარიხუანა იწვევს ძილიანობას;
- მარიხუანა იწვევს ორგანიზმის ტემპერატურის ცვალებადობას;
- მარიხუანა იწვევს თავის ტკივილს;
- მარიხუანა იწვევს თავბრუსხვევას;
- მარიხუანა იწვევს გულისრევის პროვოცირებას;
- მარიხუანა იწვევს შიმშილის შეგრძნებებს;
- მარიხუანა ხელს უწყობს რელაქსაციის პროცესს;
- მარიხუანა ანელებს ფსიქომოტორულ (მოძრაობითი) აქტიურობას;
- მარიხუანა აუარესებს ყურადღების კონცენტრაციას, ხელს უშლის სიტუაციის ადეკვატურად შეფასების უნარს;
- მარიხუანა ამცირებს ავტომობილის მართვის და ყველა იმ საქმიანობის უნარს. რომელიც საჭიროებს ყურადღებას;
- მარიხუანა იწვევს საუბრის აჩქარებას და შეუკავებელ ყბედობას;
- მარიხუანა იწვევს ეიფორიას, კეთილდღეობის შეგრძნებას;
- მარიხუანა იწვევს უზრუნველ მდგომარეობას, რომელიც მონაცვლეობს მოუსვენრობასა და შინაგანი შფოთის მდგომარეობასთან;
- მარიხუანა იწვევს მოკლევადიანი მეხსიერების, გაგების და რაიმე ამოცანის შესრულების უნარის გაუარესებას;
- მარიხუანა იწვევს დროის და სივრცის შეგრძნების დაკარგვას;
- მარიხუანა იწვევს აპათიას;
- მარიხუანა ამძაფრებს მხედველობით, სმენის და ყნოსვის შეგრძნებებს;
- მარიხუანა იწვევს მოტივაციის ნაკლებობას;
- მარიხუანა ამცირებს ტკივილის შეგრძნების ბარიერს;
- მარიხუანა იწვევს სექსუალური ემოციების ცვლილებებს;
- მარიხუანა იწვევს ჰალუცინაციებს;
- მარიხუანა იწვევს საკუთარი თავის, როგორც პიროვნების, აღქმის უნარის დაკარგვას;
- მარიხუანა იწვევს ფსიქოზს (განსაკუთრებულად დიდი დოზა).

მარიხუანა მოქმედებს აზროვნებაზე, გაგების უნარზე, აბსტრაქტულ აზროვნებაზე, სწავლის შესაძლებლობაზე.

მარიხუანას, დოზისა და მისი მომხმარებლის ათვისების უნარის გათვალისწინებით შეუძლია გამოიწვიოს პანიკა, მოუსვენრობა და ტოქსიკური ფსიქოზი.

მარიხუანას მოხმარება იწვევს თამბაქოს მწეველთათვის დამახასიათებელ მთელ რიგ მავნე ეფექტებს:

ბრონქიტი, ფარინგიტი, სინუსიტი, იგი ხელს უწყობს ზედა სასუნთქი გზებისა და არხების დაავადებებს.

მარიხუანა იწვევს გაძლიერებულ გულისცემას, პულსის გახშირებას და სისხლის წნევის მომატებას.

განსაკუთრებით მავნებელია ადამიანებისთვის, ვისაც სნეული გული აქვს.

ზუსტი კვლევები ამ ფაქტის შესახებ არ არსებობს, თუმცა დადგენილია შემდეგი:

მარიხუანა ამცირებს სისხლში ტესტოსტერონის დონეს, რომელიც მამაკაცის მთავარი ჰორმონია.

მისი დაჟინებული და ძალიან ხანგრძლივი მოხმარება, ჰორმონალურ ფონს ცვლის იმდენად, რომ შეიძლება მოზარდებში სქესობრივი ფუნქციების დარღვევაც კი გამოიწვიოს.

ძალიან მძიმე შემთხვევებში, შეინიშნება სპერმატოზოიდების როდენობის შემცირება და შეზღუდვა. ასევე სპერმაში ანომალური უჯრედების მომატება.

მარიხუანა ცვლის ტვინის მოქმედებას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ოვულაციის დარღვევა და განაყოფიერების შესაძლებლობის შემცირება.

მარიხუანამ შესაძლებელია ტოქსიკური ზემოქმედება მოახდინოს ფეხმძიმობის დროს ნაყოფის განვითარებაზე და ფეხმძიმობის მიმდინარეობაზე.

ამ ფაქტორმა, შესაძლოა ეგრეთ წოდებული „მარიხუანის ფატალური შედეგი“ გამოიწვიოს, რაც გამოიხატება ახალდაბადებულ ჩვილთა წონაში კლებასა და მისი განვითარების გადახრებში.

ამის მიზეზია ის, რომ მარიხუანა ძუძუთი კვების დროს დედის რძიდან გადადის ახალშობილის ორგანიზმში.

მარიხუანას შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს გონებრივ და ფიზიკურ რეაქციებზე. იგი არღვევს კოორდინაციას და ზრდის რეაქციის ხანგრძლივობას.

ამ დროს ირღვევა ადამიანის საპასუხო რეაქცია სინათლის და ხმოვან სიგნალებზე, უარესდება თანმიმდევრული მოქმედებების და აღქმის უნარი.

ზოგ შემთხვევაში ჩნდება მოძრაობის, სიარულის, საუბრის ძლიერი მოთხოვნის სურვილი. დამახასიათებელია მშვიდ მდგომარეობაში არაბუნებრივი პოზები.

ქრონიკული დაღლილობა, თავის ტკივილი, გულის რევის შეგრძნება.

მიუხედავად ამისა, მარიხუანას მოხმარება ფართოდ არის გავრცელებული მსოფლიოში.

„მარიხუანა“ ნიშნავს „მომწამვლელს“ და პირდაპირ მიუთითებს მოსალოდნელ შედეგებზე.მარიხუანას ბოლის შემადგენლობა საკმარისად შესწავლილი არ არის, მას აქვს სპეციფიკური (დამწვარი თოკის) სუნი და მასში შემავალი ნარკოტიკულად მოქმედი ნივთიერება ტეტრაჰიდროკანაბინოლის (ტჰკ) სახელით არის ცნობილი.

მარიხუანას მოწევის შედეგად წითლდება სკლერები, ფართოვდება სისხლძარღვები, ქვეითდება არტერიული წნევა, შეინიშნება გულისცემისა და სუნთქვის აჩქარება, მოწევის დროს, ჩვეულებრივ, იწყება ხველა, ითრგუნება ღვიძლის ფერმენტების აქტივობა, რასაც შედეგად მოსდევს ღვიძლის ფუნქციის დაქვეითება.

პრეპარატის მოქმედება იწყება მოწევიდან რამოდენიმე წუთის შემდეგ ლორწოვანი გარსების გაშრობით, ძლიერი წყურვილისა და შიმშილის შეგრძნებით, შეიძლება იყოს ყურებში შუილი, თავბრუს ხვევა, თავის ტკივილი, სიცხის ან სიცივის შეგრძნება.მარიხუანას რეგულარულად მიღების შედეგად ვითარდება ბოდვითი აზროვნებისაკენ მიდრეკილება.დიდი დოზებით სისტემურმა მოხმარებამ შეიძლება გამოიწვიოს ქრონიკული ფსიქოზი-ბოდვა, ილუზიები, ჰალუცინაციები, პანიკა, აგრესიულობა.

ზემოაღნიშნული ტჰკ გროვდება ცხიმოვან უჯრედებში და ორგანოებში-თავის ტვინში, სათესლე ჯირკვლებსა და საკვერცხეებში, ელენთაში, ღვიძლსა და თირკმლებში.ეს კი იმას ნიშნავს, რომ ნარკოტიკის მოხმარების შეწყვეტის შემდეგაც მისი ზემოქმედება ხანგრძლივი დროის განმავლობაში გრძელდება.

მარიხუანას მოწევა ბევრად უფრო აზიანებს სასუნთქ ორგანოებს ვიდრე თამბაქოსი.

ბევრად უფრო მაღალია ფილტვების კიბოს განვითარების რისკიც.თავისი დამაზიანებელი ეფექტით ერთი ულუფა მარიხუანა ხუთ ღერი სიგარეტის ტოლფასია.

ყველაზე ცუდი, რაც შეიძლება მოყვეს მარიხუანას მოხმარებას, არის ის, რომ მან შეიძლება გამოიწვიოს მოთხოვნა სხვა უფრო ძლიერ ნარკოტიკულ საშუალებებზე.

რაც შეეხება მის გამოყენებას სამედიცინო თვალსაზრისით , მთელ რიგ დაავადებებთან მისი ეფექტურობის დასამტკიცებელი ექსპერიმენტები დღესაც გრძელდება სხვადასხვა ქვეყნებში.

ერთი რამ უდავოა, სამედიცინო თვალსაზრისით მარიხუანას გამოყენება სულ სხვა რამეა და სრულიად სხვა შედეგს იძლევა მისი მუდმივად მოხმარება.

მოამზადა ია გიგიაშვილმა

რას ნიშნავს „ღვინის დამწიფება“ – რა უნიკალური თვისებები აქვს ყურძნის კლერტს

ქვევრში ღვინის დაყენება დიდ შრომას, საქმისადმი რწმენას, სიყვარულსა და წინაპრების და მომავალი თაობის წინაშე პასუხისმგებლობას მოითხოვს.

ღვინის კახური მეთოდით დაყენებისას – ყურძნის გადამუშავება ქვევრში ჭაჭასა და კლერტთან ერთად ხდება. ალკოჰოლური დუღილის შემდეგ თეთრი ღვინო ჭაჭაზე და ლექზე 5 – 6 თვე, ხოლო წითელი ღვინო 1 – 2 თვის განმავლობაში ვარგდება. მთავარი მაინც ისაა, რომ ნამდვილი კახური ქვევრის ღვინის მისაღებად ყურძენი კარგად დამწიფებული უნდა დაიკრიფოს. ამასთანავე კლერტის სიმწიფეც აუცილებელია, რაც ქარვის ფერის შეძენით გამოიხატება.

ტრადიციული მეთოდით, ყურძენი, საწნახელში თავსდება და იჭყლიტება. საწნახელში ყურძნის დაწურვის დროს ტკბილი ქვევრში ჩაედინება. ხოლო, ჰაერზე ფერმენტაციის შემდეგ დურდო და კლერტი ემატება.უკანასკნელმა კვლევებმა აჩვენა, რომ კლერტი 10 პროცენტამდე მაღალმოლეკულურ ნივთიერებას – ლიგნინს შეიცავს. ჰაერზე უანგბადით დაჟანგვისას ის წარმოქმნის არომატული რიგის ალდეჰიდებს, რომლებიც მომავალი ღვინომასალებისა და ღვინის არომატს აუმჯობესებენ.

განსაკუთრებული ყურადღება დურდოს დადუღების პროცესს ენიჭება. სპეციალური იარაღით დურდოს დარევა, დღე – ღამეში, 5 – 6 ჯერ მაინც ხდება. ეს გამორიცხავს ჭაჭის ზემოთ ამოსვლას და არასასურველი მიკრობიოლოგიური გარემოს წარმოქმნას. დარევის პროცესში მასის აერაცია და ერთგვაროვან სხეულად ჩამოყალიბება ხდება. დურდოს მძაფრი დუღილის დამთავრების შემდეგ ჭაჭა ნახშიროჟანგს გამოყოფს და ჭურჭლის ფსეკრზე ილექება. ქვევრის ზედა ნაწილს ღვინომასალა იკავებს. საჭიროების შემთხვევაში, ჭურჭელს ავსებენ იგივე შინაარსის ღვინით და ქვევრს, არაჰერმეტიულად, სარქველს აფარებენ. 3 – 4 დღის შემდეგ, ქვევრის ყელს გოგირდის კვამლით ამუშავებენ და სარქველი უკვე, ჰერმეტიულად იხურება.

მას შემდეგ, რაც ღვინო მტევნის მაგარი ნაწილებიდან მიიღებს გემოს, შეფერვას, სხეულსა და სიძელგეს, ხდება ჭაჭის მოხსნა. პირველ რიგში ხდება ჭაჭის თავზე, ქვევრის შუაწელში, მოთავსებული თავანკარა ფრაქციის გადაღება მეორე ქვევრში, სადაც იწყება ღვინის დავარგება – დამწიფების პერიოდი. ღვინო იძენს უნიკალურ თვისებებს, დამახასიათებელ არომატსა და გემოს.

„ღვინის დამწიფების“ პერიოდში ღვინის მუდმივი ლაბორატორიული და ორგანოლეპტიკური კონტროლი ხდება. ყურადღება ექცევა პროცესის განვითარებასა და ღვინის ხარისხს. მომწიფებული ღვინო ბოთლებში ისხმება და კორპის საცობით ილუქება. მინის ბოთლში ღვინო განვითარებას აგრძელებს. რაც უფრო მეტი დრო გადის, ღვინის გემო იხვეწება. უკეთესი ბუკეტი უყალიბდება, რბილდება და უფრო სასიამოვნო დასალევი ხდება.

სტალინის ფენომენი – როგორ სძულთ და უყვართ საქართველოში



21 დეკემბერი ი. სტალინის დაბადების დღეა

სტალინის მიმართ იდეოლოგიური მტრობით დაბოღმილი ადამიანები ეჭვის ქვეშ აყენებენ ჩერჩილის ცნობილ სიტყვას სტალინზე და ამ ეჭვის საფუძვლად იმას აცხადებენ, რომ ეს სიტყვა 1959 წლის 21 დეკემბერს სტალინის 80 წლისთავზე თურმე არ უთქვამს ჩერჩილს. თუმცა, იმას კი ვერ ურყოფენ რომ მსგავსი სიტყვა ჩერჩილს ნათქვამი აქვს 1942 წლისს 8 სექტემბერს თემთა პალატაში მისი მოსკოვში ვიზიტის განხილვისას.

ჩერჩილი, რომელიც მაშინ მოკავშირეთა ლიდერზე წერდა, მაგრამ შინაგანად კომუნისტურ იმპერიის ლიდერს მშობლიური ინგლისის იმპერიის მტრად თვლიდა, ამგვარი პიროვნების მიერ ასეთი მაღალი შეფასება, სტალინის, როგორც სახელმწიფო მოღვაწის ღირსებებს მიუკერძოებლობის მაღალი ხარისხით წარმოაჩენს: „რუსეთისათვის დიდი იღბალია, რომ მისი აგონიის დროს ის აღმოჩნდა ამ უდიდესი, გამოწრთობილი მხედართმთავრის ხელმძღვანელობის ქვეშ. ეს ადამიანი არის შთამბეჭდავი, გამორჩეული პიროვნება, შესაბამისი იმ სერიოზული და ქარიშხლიანი დროებისა, რომელშიც გაიარა მისმა ცხოვრებამ. ადამიანი ამოუწურავი გამბედაობისა და ნებისყოფის ძალისა, ადამიანი პირდაპირი და ურთირთობაში უცერემონიო მანერების მქონე.... სტალინმა, ამასთან, ჩემზე შთაბეჭდილება მოახდინა თავისი ღრმა და ცივსისხლიანი სიბრძნით და ყოველგვარი ილუზიების არქონით“... იგივე ჩერჩილი 1943 წელს ამბობდა:“დილით ვდგები და ვლოცულობ, რომ სტალინი ცოცხალი და ჯანმრთელი იყოს, მხოლოდ სტალინს შეუძლია იხსნას მსოფლიო“.

ჰიტლერი, როგორც ნაცისტური მიზანთროპული დოქტრინის საფუძველზე სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელი სამართლიანად არის დაგმობილი კაცობრიობის მიერ, მაგრამ მას თუნდაც როგორც უარყოფით დიდ ისტორიულ პიროვნებას მაინც ვერავინ ამოშლის კაცობრიობის მეხსიერებიდან. ამიტომ საინტერესოა მის მიერ სტალინის ფიგურის შეფასება, მითუმეტეს, ჰიტლერს ეს ჩვეული ორატორული ნიჭით აქვს გაკეთებული: „რუსი ხალხის ძალა შედგება არა მის რაოდენობასა ან ორგაზებულობაში, არამედ მის შესაძლებლობაში რომ წარმოშვას სტალინის მასშტაბის პიროვნება. თავისი პოლიტიკური და სამხედრო ხარისხით სტალინი ბევრად აჭარბებს ჩერჩილსაც და რუზველტსაც. ის არის ერთადერთი მსოფლიო პოლიტიკოსი, რომელიც იმსახურებს პატივისცემას. ჩვენი ამოცანაა დავამსხვრიოთ რუსი ხალხი ისე, რომ სტალინის მასშტაბის ადამიანები მეტად აღარ გამოჩნდნენ“.

სავარუდოდ ჰიტლერმა ძალიან კარგად იცოდა სტალინის ქართული წარმოშობის შესახებ, მაგრამ მან ისიც კარგად იცოდა, რომ სტალინისა და სხვა ქართველების გამორჩეული ნიჭი რუსეთის დიდი მასშტაბის პოლიტიკურ ასპარეზზე გასვლით აღწევდნენ მსოფლიო მასშტაბებს, ხოლო მათი კარიერა რგებდა თუ ვნებდა მათ მშობლიურ საქართველოს, ეს არატენდეციური ანალიტიკური განხილვის საგანია.

ზოგადად, ხელისუფლების დანიშნულებაა მის მიერ მართვადი სახელმწიფოს სუვერენიტეტის დაცვა და ამავე დროს საკუთარი ხალხის სოციალურად უზრუნველყოფა, პარალელურად მომავალში უკეთესი ცხოვრების რეალური პერსპექტივის რწმენით.

ეს ყველაფერი სტალინმა თავისი 30 წლიანი მმართველობის პერიოდში, მიუხედავად მის წინაშე მდგარი საშინაო და საგარეო უდიდესი სირთულეებისა, განახორციელა, რაც იმის შედეგია, რომ მან შეიმუშავა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური პროექტი და მისი ხორცშესხმაც შეძლო.

ამის გამო მის მიერ ჩამოყალიბებული სახელმწიფო იქცა მსოფლიოს ბიპოლარული სისტემის შემქმნელად, რომელიც მომავალი ნახევარი საუკუნის მაძიღზე უზრუნველყოფდა ერთმანეთთან დაპირისპირებული სოციალურ-ეკონომიკური მოდელების მქონე ჰეგემონი სახელმწიფოების მშვიდობიან თანაარსებობას.

ასეთი გრანდიოზული სამუშაოს წარმატებით ჩატარებას ვინც ვერ აცნობიერებს, ის ძალიან ზერელედ აფასებს მოვლენებს. მსოფლიო ისტორიაში თითებზე ჩამოსათვლელი არიან ისეთი სახელმწიფო მოღვაწეები, რომლებმაც ძირითადად შეასრულეს საკუთარი თავის წინაშე დასმული ამოცანები და მითუმეტეს, საკაცობრიო მასშტაბების დონის ამოცანები.

ამავე დროს, სტალინმა მაშინდელი ევრაზიის ხალხები იხსნა მათი რესურსების დასავლეთის ნედლეულის დანამატად და იაფ მუშახელად ქცევისგან. სწორედ ამის გამო ვერ იტანენ დასავლეთში სტალინს, რომ ის გადაეღობა ტრანსნაციონალური კომპანიების მხრიდან მესამე სამყაროს ქვეყნების ძარცვის პოლიტიკას. ასე რომ, მხოლოდ იდეოლოგიური დემაგოგიითა და პროპაგანდით სტალინის საქმიანობის შეფასება არის სიცრუე და პრიმიტივიზმი.

ხოლო ვინც სტალინის ფენომენში მხოლოდ წმინდანს ეძებს და პოულობს, ან მხოლოდ ჯალათსა და ბოროტმოქმედს, ულოგიკო ძიების მსხვერპლნი არიან. სახელმწიფო ინტერესებით მოქმედი პოლიტიკოსის მოღვაწეობის ერთი პრიზმითა და კრიტერიუმით შეფასება თავიდანვე მცდარი დასკვნის საფუძველს ქმნის. მითუმეტეს, სტალინი არა მხოლოდ ერთი სახელმწიფოს ინტერესების დაცვას ემსახურებოდა, არამედ ამ სახელმწიფოს წარმატება მისთვის საკაცობრიო იდეის განხორციელებისთვის იყო გამიზნული.

ამიტომაც შექმნა მეორე მსოფლიო ომის მოგების შემდეგ საბჭოთა არმიის მიერ განთავისუფლებულ ევროპის ქვეყნების შემომტკიცებით სოციალისტური ბანაკი, ხოლო აზიაში გვერდით ამოიყენა ჩინეთი და ჩრდილო კორეის რესპულიკა. ამით მან უკვე მსოფლიოს მომავლისთვის ჭიდილში გამოიწვია თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიის კაპიტალისტური სისტემა, რომლის სამართლიანობისა მას არ სწამდა.

სტალინის სიტყვა სწორედ მისი აღნიშნული შეხედულების გამოხატულებაა: „ჩემთვის რთულად წარმოსადგენია რა პირადი თავისუფლება უნდა ჰქონდეს უმუშევარს, რომელიც დადის მშიერი და თავისი შრომის გამოყენების საშუალებას ვერ პოულობს. ნამდვილი თავისუფლება შეიძლება იყოს მხოლოდ იქ, სადაც ექსპლოატაცია მოსპობილია, სადაც ადამიანთა ერთი ჯგუფის მიერ მეორის ჩაგვრა არ არსებობს, სადაც არ არის უმუშევრობა და სიღატაკე, სადაც ადამიანი არ კანკალებს იმის გამო, რომ ხვალ შეიძლება დაკარგოს სამუშაო, საცხოვრებელი და პური. მხოლოდ ასეთ საზოგადოებაშია შესაძლებელი ნამდვილი და არა საქაღალდე, პირადი და სხვა ყოველგვარი თავისუფლება“.

ვფიქრობ, ამ სიტყვის არსს მათი დიდი უმრავლესობა დაეთანხმება, ვისაც უკანასკნელი 25 წლის მანძილზე თავის თავზე გამოუცდია უმუშევრობა, სიღატაკე და ხვალინდელი დღის შიში.

საერთაშორისო ურთიერთობების კანონზომიერებებით პატარა და სუსტი ქვეყნის ხვედრია გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე ერთ-ერთი ჰეგემონი ქვეყნის მფარველობის ქვეშ მშვიდობიანი განვითარების შესაძლებლობის მიღება. ეს პირობები სტალინმა საქართველოს შეუქმნა იმ ეპოქისათვის დამახასიათებელ ფარგლებში. საქართველოს თავისი პოტენციალიდან გამომდინარე ზემოდან ხელშეწყობით განვითარების საშუალება გაუჩნდა და ეს ხორციელდებოდა ეკონომიკურ-ინდუსტრიული აღმშენებლობით, ხალხის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებით, დემოგრაფიული პრობლემების მოგვარებითა და განათლება-კულტურის აღმავლობით.

საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ უკვე მეოთხედი საუკუნეა ვეძებთ თუნდაც მსგავსი განვითარების პირობებს, მაგრამ ჯერ ვერ მიგვიგნია, რაზეც მეტყველებს ჩვენი კატასტროფული პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

ამიტომ სტალინის გინება კი არ არის საქმე, არამედ ქვეყნისთვის სასიკეთო შედეგის მომტანი საქმის კეთებაა საქმე.

ბოლოს სტალინის ფენომენის ეროვნული ხასიათის შესახებაც უნდა ითქვას ორიოდე სიტყვა. ის რომ სტალინი ქართული სუფრის ტრადიციების მიმდევარი იყო, ამას ამტკიცებს უამრავი მოგონება და რეალური ფაქტები, რომელთა შესახებ მოგვითხრობენ ისინი, ვისაც სტალინთან გარკვეული საქმიანი თუ მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა. სტალინი რუზველტსაც და ჩერჩილსაც კი სადღეგრძელოების რიტუალებით უმანსპინძლდებოდა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ სტალინი ეთნოფსიქიკურად სუფთა სისხლის ქართველი იყო და კონსერვატორულ ქართულ სუფრას ურთულეს პოლიტიკურ თამაშებში ფილიგრანულად იყენებდა.

ამავე დროს, მიუხედავად სტალინის უდიდესი სახელმწიფოებრივი ტვირთისა და მოუცლელობისა, ის მაინც ახერხებდა გამოენახა შესაბამისი დრო, რომ საქართველოს წინაშე არსებულ პრობლემებში ღრმად გარკვეულიყო, რომ მათ გადაჭრაში უშუალოდ მიეღო ნაყოფიერი მონაწილეობა. ამის შესახებ თავისი მოგონებების წიგნში: „სტალინთან ურთიერთობის ეპიზოდები“ საკმაოდ ვრცლად წერს ბატონი კანდიდ ჩარკვიანი, რომელიც სტალინის ეპოქაში საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მდივანი იყო. ის აღნიშნავს, რომ თბილისში მეტროს გაყვანა, რომელიც მაშინ არა მარტო სსრკ-ში, არამედ მსოფლიოშიც თითებზე ჩამოსათვლელ დიდ ქალაქებში ფუნქციონირებდა, სტალინის მხარდაჭერის გარეშე ვერ განხორციელდებოდა და მიუხედავად სამამულო ომით დანგრეულის აღდგენის უმძიმესი პერიოდისა, მაინც გამოონახა თანხები, რომ ეს საშვილიშვილო საქმე დაწყებულიყო.

ასეთივე დიდი წვლილი აქვს მიღებული სტალინს ქართული მეტალურგიის, ქიმიური მრეწველობის, საავიაციო და მანქანათმშენებლობის დარგების შქმნაში, რის შედეგადაც საქართველო ერთ სულ მოსახლეზე შიდა პროდუქტის რაოდენობით ევროპის ხუთეულში შედიოდა.

ცნობილია, რომ ქართული ეროვნული განძის საქართველოში ჩამოტანა სტალინის უშუალო მზრუნველობით განხორციელდა. ისიც უნდა ითქვას, რომ რუსეთში გატანილი ქართული ისტორიული რელიქვიები უშუალოდ სტალინის ძალისხმევით იქნა გადმოტანილი ქართულ მუზეუმებში ჯერ კიდევ 1922 წელს. ეს მოვლენები ამომწურავად აქვს გაშუქებული გრიგოლ ონიანს თავის 7 ნაწილიან ნაშრომში: „სტალინის როლი ქართული საგანძურის საქართველოსთვის დაბრუნებაში“, რომელშიც სტალინის მიმართ ამ სფეროში უამრავი ცილისწამება არის გაქარწყლებული, განსაკუთრებით ექვთიმე თაყაიშვილთან დაკავშირებით.

იოსებ სტალინის-ჯუღაშვილის ქართული შემოქმედებითი სულიერება ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში დაწერილ მის ლექსებშიც ცხადად ვლინდება, მაგრამ საოცარია სოჭში იმდროინდელი საქართველოს პირველი პირის კანდიდ ჩარკვიანისა და ცნობილი ქართველი ისტორიკოსების ნიკო ბერძენიშვილისა და სიმონ ჯანაშიას შეხვედრაზე სტალინთან დიალოგების მოგონებები. აქ ჩანს სტალინის ღრმა ცოდნა ქართული ენისა, ქართული ისტორიოგრაფიისა, მათი პერსპექტიული განვითარების მიმართულებებისა და მნიშვნელობის შესახებ.

ზოგადი წარმოდგენა მაინც რომ შეგვექმნას ამის შესახებ, მოვიყვან აღნიშნული დიალოგებიდან სტალინის მხოლოდ ერთ მოსაზრებას: „ხეთების სახელმწიფო დაეცა, მაგრამ განა შეიძლებოდა ასე მრავალრიცხოვანი და მძლავრი ხალხი გამქრალიყო? რასაკვირველია არა, ხეთებისა და სუბარების ტომები, რომლებსაც შავი ზღვის სანაპიროები ეჭირათ და ზღვაოსნობაც ემარჯვებოდათ, აიყარნენ და ზღვის დასავლეთით გაეშურნენ, სხვა ტომები კი, რომლებიც მცირე აზიის მთიან ადგილებში და დასავლეთ და აღმოისავლეთ ამიერკავკასიაში ბინადრობდნენ, ადგილზე დარჩნენ. ამ თავის მიწა-წყალზე დარჩენილმა ხეთ-სუბარებმა შექმნეს მძლავრი პოლიტიკური გაერთიანებები, მათ შორის ურარტუს სახელმწიფო. მათი ჩამომავლები არიან იბერები, კოლხები და სხვები.

მაგრამ რა მოუვიდათ დასავლეთისკენ წასულ ხეთებსა და სუბარებს? – განაგრძობდა სტალინი, – მათ ადვილად დაიპყრეს კულტურულად უფრო დაბალ დონეზე მყოფი აბორიგენები, დაიკავეს ბალკანეთის, აპენინის, პირინეის ნახევარკუნძულები და შექმნეს იქ მაღალი ცივილიზაცია არიელების – ბერძნების და რომალების მოსვლამდე ბევრად ადრე. მხოლოდ ერთ ჰიპოთეზაშია საიდუმლო გასაღები, კერძოდ, პელასგებისა და ეტრუსკების გამოცანის ამოსახსნელად, რომელთა კულტურა საფუძვლად დაედო ბერძნულ და რომაულ ცივილიზაციას. უეჭველია, მეცნიერები რომ ეტრუსკების ეპიგრაფიკას ქართული ენობრივი ფაქტებიდან მისდგომოდნენ, იგი მათ დიდი ხნის გაშიფრული ექნებოდათ. იგივე ითქმის ხეთურ იეროგლიფზე და ალბათ, ლურსმულ ნაწერებზეც“.

სტალინი აკრიტიკებს უცხოელ მეცნიერს პროზნის, რომელიც ხეთებს ინდოევროპულ რასას მიაკუთვნებს და აგულიანებს ქართველ მეცნიერებს: „რას უპირისპირებთ თქვენ მის თეორიას მეცნიერების ახალი არსენალიდან? არაფერს. საჭიროა აღზარდოთ ხეთოლოგთა კადრები, დაიწყოთ სერიოზული მუშაობა ამ სფეროში. მე კი პირადად მჯერა, რომ წინა აზიაში ახლაც ბევრი რამ მოწმობს ქართველთა წინაპრებისა და ქართული ტომების ადრინდელ ბინადრობას. აიღეთ თუნდაც ტოპონიმიკა. ტოპონიმიკა მეტად გამძლეა. ხალხები მოდიან და მიდიან, ადგილების, მთების, მდინარეების ბევრი სახელწოდება კი რჩება. ასეთ მოვლენებს ბლომად ვხვდებით, მაგალითად მცირე აზიაში განა ღალისი, მდინარე ყიზილ-ირმაკის წინანდელი სახელი, ქართული წარმოშობის არ არის?“...

ცნობილ ავსტრიელ მწერალს შტეფან ცვაიგს ეკუთვნის ორი ბრძნული გამონათქვამი: „იყო უდიდესი, ნიშნავს მისცე მიმართულება“ და „სოფელი სახელს ითქვამს, თუ იქ დიდი ადამიანი დაიბადებაო“. ეს ორივე გამონათქვამი იოსებ სტალინის ფენომენს საუკეთესოდ მიესადაგება. სტალინმა მთელი თავისი მოღვაწეობით ნამდვილად მისცა მიმართულება კაცობრიობის განვითარებას და რაც უფრო კრიზისულ მდგომარეობაში აღმოჩნდება მსოფლიო, მით უფრო ბევრი მიუბრუნდება წარსულის იმ გამოცდილებას, რომელიც სტალინის ეპოქას უკავშირდება. ამიტომ სტალინი მარტო წარსულს არ ეკუთვნის, ის მომავლის ისტორიის შექმნაშიც მონაწილეობს. სწორედ ამ აზრს გამოხატავს დასავლელ პოლიტიკოსთა შორის ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული პოლიტიკოსის დე გოლის სიტყვები : „სტალინი არ მომკვდარა, ის განზავდა მომავალშიო „.

რაც შეეხება შტეფან ცვაიგის მეორე გამონათქვამს, უნდა თუ არა ვინმეს, სტალინის ფენომენი თავისი დიდი ისტორიული მნიშვნელობით საქართველოს განუყოფელი სუბსტანციური ნაწილია, ხოლო ის დადებით თუ უარყოფით როლს შეასრულებს საქართველოს მომავლის ფორმირებაში, დამოკიდებულია თავად ქართველების ცნობიერების შესაძლებლობებსა და ანალიტიკურ უნარზე.

„კავკასიის ბარომეტრის“ 2012 წლის კვლევის მიხედვით, საქართველოში მოსახლეობის 45% დადებითად არის განწყობილი სტალინის მიმართ. თავად ამ მონაცემს კი ნორმალურად ქართველების 32% მიიჩნევს, 59% – არა. თავისთავად სადავო საკითხია, რამდენად კარგი ან ცუდი შეიძლება იყოს ეს მონაცემები, თუმცა არც ამ მონაცემების შეფასებას და არც თავად ბელადის „საგმირო საქმეებზე“ ვაპირებთ მსჯელობას. ამჯერად, სხვა საინტერესო მომენტზე შევაჩერებთ ყურადღებას.

კვლევის ჩატარების დროს, ყოფილ ხელისუფლებას საბჭოთა ბელადის კერპის წინააღმდეგ ბრძოლა უკვე დიდი ხნის დაწყებული ჰქონდა – ქვეყნის მასშტაბით ბიუსტების და ქანდაკებების მასობრივი დემონტაჟი თითქმის დასრულებული იყო. მაგალითად, 2010 წლის 24 ივნისს ღამის 2 საათზე აიღეს სტალინის ძეგლი მისი მშობლიური ქალაქის ცენტრიდან. აღნიშნულ ფაქტს გორელი სტალინისტები და მოხუცი კომუნისტები თვალცრემლიანი, ახალგაზრდები კი სიხარულით შეხვდნენ.

მსგავი ფაქტები განმეორდა ქვეყნის ყველა რეგიონში...

იმის მიუხედავად, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობისას სტალინს არ სწყალობდნენ, ფაქტია, რომ „ნაციონალური“ ხელისუფლების პერიოდში ჩატარებულ გამოკითხვაში საქართველოს მოსახლეობის თითქმის ნახევარმა ბელადის მიმართ სიმპათია არ დამალა.

სტალინისადმი დამოკიდებულება, 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, ხელისუფლების შეცვლასთან ერთად რადიკალურად შეიცვალა – „ქართულმა ოცნებამ“ აქტიურად დაიწყო ბელადის ჯვართადქცეული ქანდაკებების ხელახლა დამონტაჟება და ამისთვის მუნიციპალიტეტების ადგილობრივი ბიუჯეტებიდან თანხების გამოყოფა. ამ დროისათვის ცნობილია, რომ: სტალინის ძეგლს გორში აღადგენენ; უკვე აღადგინეს ძეგლი თელავში; დიდი ბელადი დაბრუნდა სოფელ ზემო ალვანში; სტალინის ძეგლმა ადგილი დაიბრუნა სოფელ აკურაშიც ... და ეს მხოლოდ მცირე სტატისტიკაა.

ყურადსაღებია ის, რომ ხელისუფლებების სტალინისადმი დამოკიდებულების ცვლილებების პარალელურად, უცვლელი დარჩა ახალგაზრდობის პოზიცია.

„სტალინის ბედის“ წაღმა-უკუღმა ტრიალმა ახალი თაობის ბელადისადმი ნეგატიური დამოკიდებულებას ვერაფერი დააკლო. ახალგაზრდა თაობა როგორი სიხარულითაც ხვდებოდა ძეგლების აღების ფაქტებს, ისევე აპროტესტებს მათ აღდგენას. უფრო მეტიც, ბოლო დროს პროტესტი გახშირდა და ზედმეტად რადიკალურიც კი გახდა. ანუ სტალინის „მეორედმოსულ“ არაერთ ძეგლზე განხორციელებული ვანდალური ფაქტები უკვე ტენდენციად იქცა. სოციალურ ქსელ აცებოოკ-ზე გვერდიც კი შეიქმნა, სახელით „სტალინის 50 ძეგლი, რომელიც უნდა შეღებო, სანამ ცოცხალი ხარ“, სადაც ახლადგახსნილი ძეგლების გადაღებვის ფაქტებია თავმოყრილი. აღსანიშნავია, რომ კამპანიამ ერთგვარი „ონლაინ ფლეშმობის“ სახე მიიღო; ოუტუბე-ზე ათეულობით ვიდეომიმართვა გამოქვეყნდა, სადაც ინტერნეტმომხმარებლები სტალინის ძეგლების შეღებვას „აღიარებენ“ და აცხადებენ, რომ მომავალშიც გააკეთებენ იგივეს, სანამ საქართველოში ერთი ძეგლიც კი დარჩება.

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ სტალინის ფაქტორი იყო და რჩება ქართველებისთვის სადავო თემად და ფაქტია ისიც, რომ 21-ე საუკუნის „ნატოსკენ“ მიმავალი საქართველოს მოსახლეობის 45% დიქტატორის მიმართ დადებითად არის განწყობილი.

მოამზადა
ალექსანდრე გიგილოშვილმა

რა უშლის ბავშვს სწავლაში ხელს? – მეცნიერთა რჩევები მშობლებს

შვილი რომ სკოლაში კარგად სწავლობს, მშობლისთვის ამაზე დიდი ბედნიერება ძნელი წარმოსადგენია. სამწუხაროდ, მშობლების დიდი ნაწილი ამ სიხარულს მოკლებულია. მეცნიერები ცდილობენ გააანალიზონ „სუსტი მოსწავლეების“ სწავლაში ჩამორჩენის რეალური მიზეზები და კონკრეტული რჩევებით დაეხმარონ მშობლებს უკეთესი შედეგის მიღწევაში.

როგორი ბავშვები არიან პოტენციური ოროსნები?

გავრცელებული სტერეოტიპის მიხედვით, ოროსნები ხმაურინი ხულიგნები, ფრიადოსნები კი წყნარი და შრომისმოყვარე ბავშვები არიან. მაიამის უნივერსიტეტის მეცნიერებმა საწინააღმდეგო დაამტკიცეს – აღმოჩნდა, რომ მორცხვი და წყნარი ბავშვები უმეტესად ცუდად სწავლობენ, განსაკუთრებით უმცროს კლასებში. მათ 4-14 წლის 4100 მოსწავლის ფსიქოლოგიური მდგომარეობა და სასკოლო წარმატებები შეისწავლეს. აღმოჩნდა, რომ ზედმეტად წყნარი მოსწავლეები სწავლაში მოიკოჭლებენ. გაცილებით უკეთესი შედეგები აქვთ მათ ხმაურიან და მხიარულ თანაკლასელებს.

„როცა ბავშვი შებოჭილია, კლასის ცხოვრებაში აქტიურად არ მონაწილეობს და თანაკლასელებთან აქტიური ურთიერთობაც არ აქვს, ამის გამო ეთიშება სააღმზრდელო-განმავითარებელ პროცესს, რომელიც დაწყებით კლასებში მთლიანად თამაშის პრაქტიკასა და გუნდური სწავლების მეთოდებზეა დამოკიდებული“, – აცხადებს კვლევის ერთ-ერთი ავტორი, ფსიქოლოგი ელიზაბეტ ბელი.

მეცნიერები მშობლებს მოუწოდებენ, სკოლაში შესვლამდე დაიჭირონ თადარიგი, ანუ სკოლაში შეყვანამდე ყურადღება გაამახვილონ ბავშვის ფსიქოლოგიურ მომზადებაზე. „ასწავლეთ ბავშვს ურთიერთობები, გაუქრეთ უცხო ადამიანებისადმი შიში, შეაჩვიეთ თანატოლებთან კონფლიქტის დამოუკიდებლად მოგვარებას. ეს უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე წერა-კითხვის ნაადრევად შესწავლა“ – ასეთია მათი რეკომენდაციები.

პრაქტიკოსი მასწავლებლებიც თანხმდებიან, რომ მოდუნება და ცუდი ნიშნები მოსწავლეებში საკმაოდ გავრცელებული პრობლემაა, რასაც მშობლები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ. მოსწავლეთა 15% სწავლაში ჩამორჩება დაქვეითებული შრომისუნარიანობის, სტრესისა და გადაღლილობის გამო. ორგანიზმის ყველა ამ მდგომარეობების მიზეზი მშობლებთან ურთიერთობების დეფიციტი ყოფილა.

პედაგოგებისა და ფსიქოლოგების ჯგუფმა 5 000 მოსწავლე შეისწავლა და გამოარკვია, რომ ბავშვებს, ვისაც მშობლებთან ურთიერთობა აკლიათ, ოთხჯერ ნაკლები წარმატებები აქვთ სწავლაში თანატოლებთან შედარებით. უყურადღებობის მიზეზს მნიშვნელობა არა აქვს, ეს შეიძლება იყოს როგორც მშობლის ასოციალური ქცევა, ასევე წარმატებული მშობლის დაძაბული სამუშაო გრაფიკი. ანუ ლოთისა და ნარკომანის შვილიც ისევე ზარალდება მშობელთან ურთიერთობის დეფიციტით, როგორც საოჯახო საქმეებზე ზედმეტად გადართული გამრჯე დიასახლისის, ან 24 საათით დაკავებული თანამდებობის პირთა შვილები.

რა უშლის ბავშვს სწავლაში ხელს

სპეციალისტები კიდევ ერთ პრობლემაზე მიანიშნებენ – ბალანსირებული კვება და ბავშვის სრულფასოვანი დასვენება წარმატებული სწავლის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა.

ზოგჯერ ბავშვი ცუდ ნიშნებს იღებს იმის გამო, რომ კარგად ვერ გამოიძინა ან უბრალოდ, საუზმობა ვერ მოასწრო. ამის გამო პირველ გაკვეთილზე ძილი მოერევა, მე-2-მე-3 გაკვეთილზე კი ჭამის გარდა ველარაფერზე იფიქრებს.

აუცილებელია, რომ კვირაში ერთი დღე მაინც ბავშვი სრულად მოწყდეს სამეცადინო პროცესს.

რით დავეხმაროთ მოსწავლეს?

ნუ აიძულებთ, რომ მხოლოდ მეცადინეობისთვის განკუთვნილ მაგიდასთან მოამზადოს გაკვეთილები. თუ სხვაგან სურს მეცადინეობა, წინააღმდეგობას ნუ გაუწევთ. იქნებ სამზარეულოში მოფუსფუსე დედის გვერდით უკეთესად აზროვნებს? დედის გვერდით ყოფნა და ოჯახური სითბო მას თავდაჯერებას და ხალისს შემატებს.

ზოგიერთი ბავშვი ხალიჩაზე წამოკოტრიალებული უკეთესად აზროვნებს. გასაგებია, რომ ეს ორთოპედიული თვალსაზრისით გამართლებული არ არის, მაგრამ ზოგჯერ გამონაკლისების დაშვება შეიძლება. ბავშვების გარკვეული კატეგორია წინ და უკან სიარულისას უკეთ იმახსოვრებს გაკვეთილს, თითქოს მათი ტვინი ხელ-ფეხთან ერთად მუშაობს. სკოლაში ბავშვს მოძრაობა შეზღუდული აქვს, აცადეთ, ეს დანაკლისი სახლში შეივსოს.

დააკვირდით მის ჩვევებს

დააკვირდით, რა სახის ინფორმაციას უკეთ იმახსოვრებს თქვენი შვილი – მხედველობით, სმენითს თუ კინესტეტიკურს.

სმენითი მეხსიერების მქონე ბავშვები კარგად ითვისებენ ხმამაღლა წაკითხულ მასალას და წაკითხულის ვინმესთან ხმამაღლა გაზიარებაც სჭირდებათ. თუ ვინმესთან ხმამაღლა არ იმსჯელა, გაკვეთილი კარგად არ დაამახსოვრდება.

სხვა ბავშვები უკეთესად ითვისებენ თვალსაჩინოებებით გამყარებულ ინფორმაციას. კარგად ეხმარებათ ისრები, ცხრილები და გრაფიკები. თუ ბავშვი მარკერების შეძენას გთხოვთ, უარს ნუ ეტყვით, მას სჭირდება, რომ გამოკვეთილად მოინიშნოს ადგილები, რათა ინფორმაციის სისტემატიზაცია შეძლოს.

კინესტეტიკური ინტელექტის მქონე მოსწავლეები ყველაზე კარგად „კეთების“ პროცესში, ანუ აქტიური სწავლებით, მოძრაობებით და სამუშაოს ხელით შესრულების დროს სწავლობენ. გიჟდებიან ცდებზე, მოდელების შექმნაზე. უმოძრაოდ მეცადინეობა უჭირთ, რადგან მოქმედება მათ ტვინს ჟანგბადით უკეთ ამარაგებს.

სამწუხაროდ, მოსწავლეების ზედმეტად დატვირთვა განსაკუთრებით დაწყებით ეტაპზე, კარგს არაფერს მოგიტანთ: ბავშვები უბრალოდ ვერ ასწრებენ ძალების აღდგენას და იფიტებიან, რაც მათ სასკოლო ნიშნების გარდა ჯანმრთელობაზეც ცუდად აისახება.

mshoblebi.ge

სპორტის რომელი სახეობა ეხმარება ბავშვს სწავლაში

როცა ბავშვისთვის სწავლაში ხელის შეწყობა სურთ, მშობლები პირველ რიგში რეპეტიტორებს ქირაობენ. მაქსიმალურად ტვირთავენ ბავშვს სასწავლო პროგრამით. პატარები ლამის დაბადებიდან დადიან სხვადასხვა წრესა თუ სტუდიაში, კერძო მასწავლებლებთან ინგლისურისა და მათემატიკის გაძლიერებულ პროგრამას ეუფლებიან.

პრაქტიკულად, თანამედროვე ბავშვს (თუ ყურადღებიანი და შეძლებული მშობელი ჰყავს) თავისუფალი დრო თითქმის არ რჩება. ბავშვი რომ დაკავებულია, ამაში ცუდი რა არის, მაგრამ ყველა ბავშვის ფიზიკური შესაძლებლობები სხვადასხვანაირია. შედეგად, გადატვირთული ცხოვრების რეჟიმი უფროს კლასებში პრობლემებს იწვევს. კერძოდ, ჰიპოდინამიას და მასთან დაკავშირებულ არაერთ დარღვევად გარდაიქმნება.

უმოძრაობა იწვევს თავის ტკივილებს, მოთენთილობას, ყურადღების კონცენტრაციისა და მეხსიერების დაქვეითებას, ბავშვებს უჭირთ სასკოლო მასალის აღქმა, რაც დაბალ ნიშნებში გამოიხატება. ანუ ბავშვის წარუმატებლობის ერთ-ერთ მიზეზად თამამად შეგიძლიათ დაბალი ფიზიკური აქტივობა დაადანაშაულოთ.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციის თანახმად, აქტიური ფიზიკური მოძრაობა საჭიროა დღეში 2 საათით მაინც. სინამდვილეში ბავშვების უმრალესობა დღეში 2 საათით სუფთა ჰერზე ყოფნასაც ვერ ახერხებს.

საერთოდ უმოძრაობის პრობლემა უკვე მთელი ცივილიზებული სამყაროს სენია. დიდი საგანმანათლებლო დატვირთვა მხოლოდ ერთი ნაწილია პრობლემის. ამას გაჯეტებით გატაცება და ეკრანზე მიჯაჭვულობაც დაუმატეთ, რაც კიდევ მეტად ამწვავებს ჰიპოდინამიის პრობლემას.

ადამიანის ტვინის შესაძლებლობებზე ჩატარებული თანამედროვე კვლევები ამტკიცებენ, რომ არასაკმარისი ფიზიკური დატვირთვის შემთხვევში ტვინის მოქმედებაც სუსტდება. როცა ორგანიზმი სპორტითაა დაკავებული, ყველა ორგანო ჟანგბადით მდიდრდება, უმჯობესდება სისხლის მიმოქცევა და ტვინში სისხლის მიწოდება.

სპორტის რომელ სახეობებს შეუძლიათ, რომ ბავშვს სწავლაში დაეხმაროს?

გონებრივი აქტივობისთვის ყველაზე სასარგებლოა ცურვა, ველოსპორტი, მსუბუქი მძლეოსნობა (მოიცავს სხვადასხვა დისტანციაზე რბენას და სპორტულ სიარულს, ხტომას, ტყორცნას, მძლეოსნურ მრავალჭიდს). ასევე სასარგებლოა გორგოლაჭებზე სრიალი, ველოსიპედი, თხილამურები. არასოდეს დაგენანოთ თანხა ამ გასართობებში. დარწმუნებული იყავით, რომ ეზოში გორგოლაჭებითა და ველოსიპედით სეირნობა რეპეტიტორზე ნაკლებ სარგებელს არ აძლევს თქვენს შვილს.

სავეტერინარო განათლება რეგულირებადი გახდა

2017 წლის 27 ოქტომბერს, საქართველოს პარლამენტმა, მესამე მოსმენით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილება მიიღო.

აღნიშნული ცვლილების მნიშვნელობას სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობისა და სურსათის დეპარტამენტის ხელმძღვანელი თენგიზ კალანდაძე განმარტავს.

კვალიფიციური ვეტერინარი ექიმის მომზადებაზე მკვეთრად უარყოფითი გავლენა იქონია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში 2011 წელს განხორციელებულმა ცვლილებებმა, რომლის თანახმადაც, რეგულირებადი აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალიდან ამოიღეს ჩანაწერი — „სავეტერინარო მედიცინა“, შესაბამისად, ხუთწლიანი სწავლება (300 კრედიტი) ოთხწლიანი (240 კრედიტი) გახდა და არაადეკვატურად შემცირდა სპეციალური საგნების რაოდენობა და მოცულობა.

ამჟამად, ვეტერინარიის დარგის სათანადო კომპეტენციის მქონე სპეციალისტის მომზადება, ფაქტობრივად, არც ერთ უმაღლეს სასწავლებელში არ ხდება, რაც ქვეყანაში ვეტერინარი სპეციალისტების დეფიციტს კიდევ უფრო ზრდის.

დღემდე მოქმედი კანონმდებლობით, ვეტერინარია არ იყო რეგულირებადი პროფესია, შესაბამისად, ვეტერინარი ექიმის კვალიფიკაციის მქონე პირს საქმიანობის განხორციელებისათვის არ მოეთხოვებოდა სერტიფიკატი და არ ჰქონდა რეცეპტის გამოწერის უფლება, სანამ ეს საქმიანობა რეგულირებადი პროფესია არ გახდა.

როდის შევიდა აღნიშნული ცვლილება კანონში და რას ითვალისწინებს ის?

ამ საკითხზე ინტენსიური მუშაობა სოფლის მეურნეობის სამინისტროში ჯერ კიდევ ოთარ დანელიას მინისტრობის დროს დაიწყო. მიმდინარეობდა ინტენსიური მოლაპარაკებები განათლების სამინისტროსთან, შეიქმნა ერთობლივი სამუშაო ჯგუფი, რომელმაც „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი შეიმუშავა. შემდგომ აღნიშნული საკითხის ზედამხედველობა ახალმა მინისტრმა, ბატონმა ლევან დავითაშვილმა გადაიბარა.

აღსანიშნავია აკადემიური წრეების, ვეტერინარიის სფეროში მოღვაწე სპეციალისტების, პროფესორ-მასწავლებლების მხარდაჭერა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრებისა და უშუალოდ აკადემიის პრეზიდენტის, გურამ ალექსიძის ჩართულობა.

აგრარულ საკითხთა კომიტეტმა, ოთარ დანელიას თავმჯდომარეობით, აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების პარლამენტში ინიცირება მოახდინა და საქართველოს პარლამენტმა, 2017 წლის 27 ოქტომბერს, მესამე მოსმენით აღნიშნული კანონპროექტი მიიღო.

ამ ცვლილებით სავეტერინარო განათლება კვლავ რეგულირებადი გახდა და „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალში დაემატა.

წარმოდგენილი ცვლილებით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია განახორციელოს 2018-2019 სასწავლო წლის დაწყებამდე მოქმედი სტუდენტების 240 კრედიტიან სწავლებიდან 300 კრედიტიან 5 წლიან სწავლებაზე გადაყვანა.

ვეტერინარიის მინიმუმ 300 კრედიტიანი ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამით უზრუნველყოფილი იქნება იმ ცოდნის, უნარების და კომპეტენციის მქონე ვეტერინარის მომზადება, რომელსაც ითხოვს საქართველოს ბაზარი და დააკმაყოფილებს საერთაშორისო დონეზე განსაზღვრულ მოთხოვნებს სავეტერინარო განათლებაში.

აღსანიშნავია, რომ ვეტერინარიის პროგრამის რეგულირების სფეროში მოქცევის შემდეგ, დღის წესრიგში დგება იმ პირთა საკითხი, რომლებსაც 240 კრედიტიანი საბაკალავრო პროგრამის გავლის შედეგად მიენიჭათ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. მიზანშეწონილია, მათთვის არსებობდეს ადეკვატური და ალტერნატიული გზა შემდგომი განათლების მიღებისა და პროფესიული საქმიანობის განხორციელებისათვის.

ამ პრობლემის აღმოფხვრას ემსახურება სწორედ კანონით გათვალისწინებული ვეტერინარის 60 კრედიტიანი პროგრამის არსებობა, რითაც 2011 წლიდან დღემდე გამოშვებულ 147 ბაკალავრს მიეცემა სერტიფიცირების და დოქტორანტურაში სწავლების უფლება დამატებით 60 კრედიტის გავლის შემდეგ.

აღსანიშნავია, რომ ვეტერინარიის მიმართულებით სწავლის გაგრძელების შემთხვევაში, მათ არ მოუწევთ, ხელახლა ჩააბარონ ერთიანი ეროვნული გამოცდები და გაიარონ 5 წლიანი ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამა (მინიმუმ 300 კრედიტი), არამედ საშუალება ექნებათ სწავლა გააგრძელონ ვეტერინარიის 60 კრედიტიან პროგრამაზე, რომლის დასრულებაც მათთვის ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების წინაპირობა იქნება.

ამასთან, კანონი გარდამავალი დებულების სახით, ითვალისწინებს ნორმას მილევად რეჟიმში არსებულ საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებითაც, რაც რელევანტურია იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც ამ ეტაპზეც, მიმდინარე რეჟიმში, სწავლობენ ვეტერინარიის 240 კრედიტიანი საბაკალავრო პროგრამით.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია განახორციელოს 2018-2019 სასწავლო წლის დაწყებამდე მოქმედი სტუდენტების 240 კრედიტიან სწავლებიდან 300 კრედიტიან 5 წლიან სწავლებაზე გადაყვანა.

რა სიკეთს მოუტანს დარგს აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება?

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიული ხედვა, მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაყრდნობით, ითვალისწინებს ისეთი გარემოს შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს აგროსასურსათო სექტორში კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების სტაბილურ ზრდას, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფას, სურსათის უვნებლობას და მავნე პათოგენების შემოჭრა-შემოტანისაგან ქვეყნის დაცვას, ეპიდემიოლოგიური კეთილსაიმედოობის, ცხოველთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის მიღწევა-შენარჩუნებას.

ადამიანის დაცვა ცხოველებისა და ადამიანებისათვის საერთო გადამდები დაავადებებისაგან პირდაპირ კავშირშია ქვეყნის ბიოუსაფრთხოებასთან, სურსათის უვნებლობასთან, ცოცხალი ცხოველებისა და ცხოველური პროდუქტების ექსპორტთან, იმპორტთან და საერთაშორისო ტრანზიტულ გადაზიდვებთან.

საშიში დაავადებების ქვეყნის ტერიტორიაზე შემოღწევა და გავრცელება მნიშვნელოვან ზიანს აყენებს ეკონომიკას, მცირდება ცხოველთა სულადობა, ირღვევა აგროწარმოება, იკლებს პროდუქციის რაოდენობა და ხარისხი. დაავადების საწინააღმდეგო საერთაშორისო შეზღუდვები ხელს უშლის ექსპორტს, იმპორტს და საერთაშორისო გადაზიდვებს.

2017 წელს „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებებით უზრუნველყოფილი იქნება:

- სრულფასოვანი ვეტერინარული განათლება;
- საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღებული ვალდებულებების შესრულება;
- დიპლომის საერთაშორისო აღიარება;
- საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა;
- ვეტერინარიაში სარეცეპტო სისტემის შემოღება;
- ეპიდემიოლოგიური და სამკურნალო-პროფილაქტიკური მდგომარეობის გაუმჯობესება;
- ქვეყნის ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობის მიღწევის ხელშეწყობა.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაცია

კითხვების შემთხვევაში დაუკავშირდით:

ცხელი ხაზი: + 995(32) 2 47 01 01
პრესცენტრი: + 995(32) 2 37 80 09
ელ.ფოსტა: infomoa@moa.gov.ge

agrokavkaz.ge

„გიყვარდეთ, კაცნო, ერთმანეთი!“...

რამოდენიმე დღის წინ, სრულიად საქართველო შეძრა იმ შემზარავმა მკვლელობამ, რომელიც სკოლის მოსწავლეებს შორის მოხდა. გააქტიურდნენ ტელევიზიები, დასვეს კითხვა: „საიდან ამდენი აგრესია?“ ამ კითხვას პასუხს სცემს ჩემი პატარა საგაზეთო წერილის სათაური, რომელიც ჩვენს გენიოსს, მთის არწივს, ვაჟა-ფშაველას დავესესხე მოთხრობიდან „კლდემ მხოლოდ ერთხელ თქვა“. სიყვარულის ნაკლებობამ, ბატონებო! რატომ გვაქვს სიყვარულის დეფიციტი? ახლა ამას იკითხავენ, ალბათ. იმიტომ, რომ დავშორდით ტაძრებს, არ ვემორჩილებით უფალს, არ ვასრულებთ უფლის მიერ მოცემულ, ძალზე იოლად შესასრულებელ, ათ მცნებას. დავკარგეთ ტრადიციები, რომელიც ჩვენს უძველეს ერს ოდითგანვე მოსდგამს. მაგალითად, უფროს – უმცროსობა, მშობლებისადმი პატივისცემა და ა.შ. როცა ჩვენი უძველესი, ბრძენი ერი სიბრძნის საძებნელად სხვების კარზე დაიწყებს სიარულს. ამასთან დაკავშირებით მაგონდება იგავ-არაკი „ორი ძმა“. უფროსი ძმა (15 წლის) გაემგზავრება უცხო ქვეყანაში სიბრძნის შესაძენად, უმცროსი კი ოჯახში რჩება. სამოცი წლის გაჭაღარავებული ბრუნდება, მაგრამ აღმოჩნდა, რომ უმცროსმა ძმამ უფრო მეტი სიბრძნე შეიძინა, ცხოვრებისეულადაც გამოიყენა. მიხვდა უფროსი ძმა, რომ შეცდომა დაუშვა და ლოდზე შემდეგი წარწერა ამოტვიფრა: „რას ეძებ, მწირო, – როცა ყოველივე თან გაქვს, ვერც პოულობ ახალს, – ყოველ ნაბიჯზე კი – ჰკარგავ“. ასე ხომ არ გვემართება ჩვენც, გვიფიქრია ამაზე?

ჩვენს პატარა აღსაზრდელებს დღე და ღამ ჩასჩიჩინებენ, რომ მათი უფლებები ირღვევა, თუ სწავლისკენ ან ზრდილობისკენ მოუწოდებენ, რაც მას სურს, თურმე ის უნდა აკეთოს. ჩვენი დიდი პოეტი დავით გურამიშვილი ხომ ბრძანებს: „უწრთველი ძაღლის ყოლა სჯობს უწრთველი შვილის ყოლასა“, ან „ნუ გენაღვლების სწავლაზე ყრმის წკეპლის ცემით კივილი“. ნუთუ გურამიშვილზე დიდი დიდაქტიკოსები არიან? განა სწავლისკენ მოწოდება არ იყო იმ ულამაზეს ლექსში „გიგლა სწავლობს ტიტინა“ (აღარ ვიცი კიდევ ისწავლება თუ არა), განა სამშობლოს სიყვარულისკენ არ მოგვიწოდებს რაფიელ ერისთავი თავის შესანიშნავი ლექსით „სამშობლო ხევსურისა“: „არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს, სხვა ქვეყნის სამოთხეზედა“. ილია ჭავჭავაძე, ილია მართალი, ლექსში „ქართველი დედა“. გავიხსენოთ დედა როგორ მიმართავს თავის სამშობლოს: „აჰა, მამულო, გაგიზარდე იმ დღისთვის შვილი, სიცოცხლე მივეც, რომ შეიძლოს შენთვის სიკვდილი“. ანდა, როგორ ეალერსება თავის მამულს, ლექსში „ყვარლის მთებს“.

უფროს-უმცროსობის დაკარგვამ სადამდე მიიყვანა ის ტრადიციული ოჯახი, რომელიც ჩვენი სათაყვანებელი ნოველისტის ნიკო ლორთქიფანიძის ნოველაშია „მრუდე მსხალი“ გადმოცემული. ჩვენი დიდი პოეტი მუხრან მაჭავარიანი როგორ მკვეთრად უსვამს ხაზს ჩვენს ტრადიციას ერთ-ერთ ლექსში. „ჩვენში ღვინოს როგორც წესი, სვამს პირველად უხუცესი, ჩვენში წყალსა როგორც წესი, სვამს პირველად უმრწემესი, არა მგონი სადმე წესი ჭაჭანებდეს უკეთესი.

განა ჩვენს უძველეს ქვეყანაში, კოლხეთში არ მოდიოდნენ ოქროს საწმისის საძებნელად. მთელ მსოფლიოში არავის აქვს ჩვენნაირი მრავალხმიანი საგალობლები და სიმღერები. განა კოსმოსში ჩვენი „ჩაკრულო“ არ გაიგზავნა?

ჩვენი დიდი მწერალი გრიგოლ რობაქიძე წერდა: „ქართული ცეკვა ნამდვილი ტრფიალებაა, მთელი ცეკვის განმავლობაში ვაჟი ერთხელაც არ ეხება ქალს“. დავკარგეთ ქართველი ქალის კდემამოსილება. ვიცი, ზოგიერთები სიცილს დამაყრიან, ძველ საუკუნეშია ჩარჩენილიო. მეც მინდა ვკითხო მათ, განა ოცდამეერთე საუკუნე უსიყვარულობის, უზნეობის, უპატივცემულობის, უწიგნურობის, ნარკოტიკით თრობის, კაცის კვლის, ნახევრად შიშვლად სიარულის საუკუნეა?

ჩვენ ხომ ის ერი ვართ, რომელსაც სამი დამწერლობა აქვს, ამასთან ყველა დამწერლობისგან სრულიად განსხვავებული ასო ნიშნებით.

უდიდესი სიბრძნის, უდიდესი განძის, ულამაზესი ქვეყნის პატრონებს „სხვისი მისაბაძი რა გვჭირს, თვარა კი“.

მატერიალურ კეთილდღეობაზე ზრუნვამ გადაფარა ყველაფერი, დედებს აღარ სცალიათ, რომ შვილები სითბოთი და სიყვარულით გაზარდონ. „გიყვარდეთ, კაცნო, ერთმანეთი! შინ და კარში ეს ხმა უნდა ისმოდეს, პირველი მცნება ეს უნდა იყოს, დედა ამას უნდა ჩასჩიჩინებდეს შვილს აკვანში, ისე გამუდმებით, რომ ეს ჩაძახილი ვერ ამოიშალოს ადამიანის გულიდან“. აი, ასე გვმოძღვრავს ჩვენი დიდი ვაჟა-ფშაველა.

ალაპარაკდნენ გენდერული თანასწორობაო. ღმერთმა ქალი ხომ უპირველეს ყოვლისა დედად გააჩინა ამ ქვეყანაზე?

ილია მართალი რომ ბრძანებს: „ყველა ადამიანი რომ იმ სიკეთის გამკეთებელი იყოს, რისი შემძლებელიც არის, ქვეყანაზე ბოროტება აღარ იქნებოდაო“.

ვაკეთოთ სიკეთე, გავუფრთხილდეთ ერთმანეთს, რომ დავამარცხოთ ბოროტება და გავამეფოთ სიყვარული.

დიდი სიყვარულით და პატივისცემით
გაზეთის მკითხველებს დოდო ბიაშვილი

მადლობა ქველმოქმედებისთვის

2017 წლის 8 დეკემბერს საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ყვარლის ფილიალს სტუმრად ეწვია ყვარლის რაიონის სოფელ გავაზის საჯარო სკოლის დირექტორი, ქალბატონი ლელა კაპანაძე, ამავე სკოლის მოსწავლეებთან ერთად და ქველმოქმედება გაუწია ყვარლის სოციალურ ცენტრს. საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ყვარლის ფილიალის თანამშრომლებმა სტუმრებთან ერთად დაახარისხეს მოტანილი პროდუქტი და დაურიგეს ბინაზე უმწეო ბენეფიციარებს, სულ 35 ბენეფიციარს. პროდუქტის დარიგების შემდეგ სტუმრები მივიპატიჟეთ სოციალურ ცენტრში, დავურიგეთ საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების საინფორმაციო ბუკლეტები, ცენტრში იმყოფებოდნენ სიმღერის ჯგუფის წევრები, იყო თბილი გარემო,სადაც სტუმრებმა კარგად მოილხინეს, იმღერეს და იცეკვეს. ბოლოს დაგვემშვიდობნენ იმ იმედით, რომ ისევ მოვლენ ჩვენთან.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ყვარლის ფილიალის მენეჯერი, ია ბეჟანიშვილი და თანამშრომლები მადლობას ვუხდით გავაზის საჯარო სკოლის დირექტორს ქალბატონ ლელა კაპანაძეს, მის თანამშრომლებს და სკოლის ყველა მოსწავლეს გაწეული ქველმოქმედებისთვის.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება ყვარლის ფილიალი

გამოსათხოვარი

ბაბულია ღელაღუტაშვილი-ოთარიშვილი

კიდევ ერთი ღვაწლმოსილი, პენსიონერი ქალბატონის სიცოცხლე მიიბარა ყვარლის მიწამ, – ბაბულია ღელაღუტაშვილი–ოთარიშვილი, ქალი, რომელიც რამდენიმე ათეული წლები ემსახურა მომავალი თაობების სწავლა-აღზრდას. შილდაში დაბადებულმა და გაზრდილმა ახალგაზრდობის წლები სოფელშივე გაატარა, იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა და შემდგომში სწავლის გასაგრძელებლად ქალაქს მიაშურა. თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტში მიღებული ცოდნა მისთვის გზამკვლევი და ცხოვრების თანამგზავრი აღმოჩნდა. სულ მალე დამსახურებული პედაგოგის წოდებაც მიანიჭეს. ჯერ კიდევ სკოლის პერიოდშივე სრულიად ახალგაზრდამ თავისი მეორე ნახევარი იპოვა და ბოლოს თავისი ბედი მას დაუკავშირა, – აწ განსვენებულს ვალიკო ოთარიშვილს და ეს ბედი ორივესთვის იღბლიანი აღმოჩნდა საუკეთესო ოჯახის შესაქმნელად. შილდის საშუალო სკოლის გერმანული ენის პედაგოგი გაკვეთილზე ბოლომდე იხარჯებოდა, რათა ახალგაზრდებს ამ მხრივ ნორმალური განათლება მიეღოთ.

ახლა, ქალბატონო ბაბულია, თქვენს სამძიმარზე მოსული თქვენი აღზრდილები მადლობას გიხდიან იმ სითბოსა და მზრუნველობისთვის, რასაც წლების განმავლობაში მათ მიმართ იჩენდით, – ეს ხომ რჩეულთა ხვედრია.

ხშირ-ხშირად ჩვენი სტუმრობა თქვენს სახლში, ერთ-ერთი გამორჩეული დღესასწაული იყო თქვენთვისაც, რადგან უდიდესი სითბოთი და ყოველთვის ხელგაშლილობით გვხვდებოდით. ორი სანიმუშო და თქვენსავით კეთილშობილი პიროვნება აღუზარდეთ სამშობლოს; უბრალოები, პატიოსნები და ერთგულები ადამიანების მიმართ. ხუთი შვილიშვილის და შვიდი შვილთაშვილის ბებია გახდით და ეს გეამაყებოდათ კიდეც. 55 წლის ასაკიდან პენსიაზე მყოფი, უკვე შვილებში, შვილიშვილებსა და შვილთაშვილებში ტრიალებდით, მათით ხარობდით. თქვენი კეთილსინდისიერება და პატიოსნება გენებით თქვენს მონაგრებში გადავიდა და ისინიც თქვენებურად აგრძელებენ და გააგრძელებენ კიდეც ცხოვრებას. ძალიან უჭირთ უთქვენობასთან შეგუება, მაგრამ... ცხოვრება გრძელდება. თქვენ ბედნიერი დედა, ბებია და აღსაზრდელებისთვის უერთგულესი პედაგოგი წახვედით ამ ქვეყნიდან. ეს კი თქვენი შვილებისთვის, მათი თაობებისთვის ყოველთვის საამაყო იქნება.

ნათელი ედგეს თქვენს სამუდამო განსასვენებელს.

რედაქციელები

ოთარ თათრიშვილის ხსოვნა



კიდევ ერთი ძვირფასი ადამიანი, სოფლის კოლორიტი, სახელოვანი და თავის ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებული კაცი გამოაკლდა სოფელს. კაცი, რომელიც სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე ადრეული ასაკიდან ჩაერთო და ცხოვრების ბოლომდე პატიოსნად, მასზე ფიქრში გალია წუთისოფელი. კაცი, რომელსაც მეტად ფაქიზი გრძნობა გააჩნდა ცხოვრებაზე და მას საკუთარ პოეზიაში გამოხატავდა. მისი გულშიჩამწვდომი ულამაზესი ლექსი „კახეთი“ მისი არდავიწყების სიმბოლოდ დარჩა ამქვეყნიურ ცხოვრებაში. კაცი, რომელიც ყველას თანაბრად უნანილებდა სითბოს, პატივისცემას და ყურადღებას.

ბატონი ოთარი იყო პიროვნული თვისებებით მისაბაძი და გაწონასწორებული ადამიანი. საამაყო მეუღლე და მამა, პაპა თუ ბაბუა, მეზობელი თუ მეგობარი. ძნელი წარმოსადგენია ჩვენი სამეზობლო მის გარეშე...

ბატონო ოთარ,19 დეკემბერს 40 დღე შესრულდა თქვენი გარდაცვალებიდან. თქვენი უდროო წასვლით უზომოდ ვწუხვართ ყველა-ვინც გიცნობდით. წუხს თქვენი ოჯახი...

მსუბუქი ყოფილიყოს თქვენთვის თქვენი საყვარელი სოფლის-გავაზის მადლიანი მიწა.

გ ე მ შ ვ ი დ ო ბ ე ბ ი თ !

როგორც თქვენ მეტყოდით ხოლმე,
თქვენი უმცროსი მეგობარი და
საუკეთესო მეზობელი –
ლელა კაპანაძე

რომელი სარეცხი საშუალებებია ჯანმრთელობისთვის სახიფათო

სარეცხი ფხვნილებისა და სითხეების ნაირსახეობა, ჭურჭლის სარეცხი საშუალებები, აბაზანისა და სამზარეულოსთვის განკუთვნილი ქიმია – დიასახლისებს დროისა და შრომის ეკონომიის გაკეთების საშუალებას აძლევს, თუმცა რამდენად მჭიდროდაა დაკავშირებული სისუფთავის დამყარება მძიმე დაავადებებთან?

ნერვული სისტემის დარღვევები, კანის პრობლემები, ალერგიები, ღვიძლის, თირკმელებისა და ფილტვების დაავადებები, ასევე ონკოლოგიური რისკების ზრდა, შესაძლოა მსგავსი პრობლემები სწორედ საყოფაცხოვრებო ქიმიას უკავშირდებოდეს, როგორ უნდა ავარჩიოთ შედარებით უსაფრთხო პროდუქტი და როგორ უნდა მოვიხმაროთ ის სწორად .

ფოსფატებიანი სარეცხი საშუალებები

ფოსფორული მჟავების მარილები და ეთერები, ფართოდ გამოიყენება სინთეტიკურ სარეცხ საშუალებებში კალციუმისა და მაგნიუმის იონების დასაკავშირებლად. ფოსფატები იწვევს სისხლში ჰემოგლობინის მატების შეფერხებას, ასევე ზრდის ონკოლოგიური დაავადებების განვითარების რისკს. მისი სახიფათო თვისებების გამო, ფოსფატების სარეცხ საშუალებებში გამოყენება იკრძალება ევროპის ბევრ ქვეყანაში. კარგად დააკვირდით სარეცხი საშუალების ეტიკეტს – შემადგენლობაში არ უნდა ეწეროს ფოსფატები!

თუ მაინც ფოსფატებიან სარეცხ საშუალებას გამოიყენებთ, გაითვალისწინეთ, ხელით რეცხვისას გამოიყენეთ რეზინის ხელთათმანები და სარეცხს გაავლეთ ცხელი წყალი მინიმუმ 7-ჯერ, რადგან ფოსფატები ძალიან რთულად შორდება მატერიას, ასეთი მოქმედების შედეგად კი სამოსზე ის მინიმალური რაოდენობით დარჩება. ყველაზე უსაფრთხოდ ცეოლითიანი სარეცხი საშუალებები ითვლება.

ენზიმები

ხარისხიანი სარეცხი ფხვნილის შემადგენლობაში აუცილებლად უნდა შედიოდეს ენზიმები. სარეცხ საშუალებებში გამოიყენება ლაქების დაშლის მიზნით. ფხვნილში ძირითადად ფერადი ბურთულების სახით გვხვდება. ენზიმები ჯანმრთელობისთვის საშიშროებას არ წარმოადგენს, თუმცა მნიშვნელოვანია მისი სწორად გამოყენების ცოდნა.

თუ თქვენ ლაქებიანი ქსოვილის გარეცხვა გსურთ, უმჯობესია ენზიმებიანი სარეცხი ფხვნილი გამოიყენოთ თუმცა იმისთვის, რომ ენზიმებმა კარგად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობა, საჭიროა სარეცხი შედარებით გრილ წყალში გარეცხოთ, რადგან რაც უფრო მაღალია წყლის ტემპერატურა, მით უფრო ფერხდება ენზიმების მოქმედება, 60 გრადუს ტემპერატურაზე კი ენზიმები ნადგურდება და საერთოდ აღარ მოქმედებს. ამასთან, ენზიმებიანი ფხვნილით არ შეიძლება გაირეცხოს აბრეშუმისა და შალის ქსოვილები, რადგან შესაძლოა ენზიმებმა ქსოვილი დააზიანოს.

ქლორი

სარეცხი საშუალებების კიდევ ერთი შემადგენელი – ქლორი, მომწამლავი, მოყვითალო მწვანე ფერის, მხრჩოლავი სუნის გაზია. სარეცხ საუალებებში გამოიყენება მათეთრებელი და სადეზინფექციო ფუნქციების შესასრულებლად. მცირე რაოდენობით მისი საყოფაცხოვრებო ქიმიაში გამოყენება არ წარმოადგენს საშიშროებას, მისმა ხანგრძლივმა გამოყენებამ შესაძლოა გამოიწვიოს ალერგია, გულ-სისხლ-ძარღვთა პრობლემები, ინტოქსიკაცია და ონკოლოგიური დაავადებები. ქლორიანი საშუალებები არ გამოიყენოთ დიდი რაოდენობით, ეცადეთ მისი მოხმარების შემდეგ კარგად გაანიავოთ ოთახი და რამდენჯერმე გაავლოთ სარეცხი.

ჭურჭლის სარეცხი სითხეები

სარეცხი საშუალებების შემადგენლობის თითქმის იდენტურია, ჭურჭლის სარეცხი სითხეების შიგთავსიც. მასშიც ყველაზე მავნე სწორედ ზედაპირულად აქტიური ნივთიერებებია, რომელიც უზრუნველყოფს ცხიმის დაშლას, მართალია რაც უფრო მეტი ასეთი ნივთიერებაა სითხეში, სისუფთავის შედეგიც უკეთესია, თუმცა ასეთი საშუალებების გამოყენება საფრთხეს უქმნის ჩვენს ჯანმრთელობას, ამიტომ იცოდეთ:

რეცხვისას მინიმუმ 15 წამის განმავლობაში გაავლეთ ჭურჭელს გამდინარე წყალი

ყიდვამდე კარგად დააკვირდით სარეცხი საშუალების ჭურჭელს – თუ ბოთლი გამჭირვალე და თხელკედლიანია ალბათობა იმისა, რომ მასში ძლიერი ქიმიური ნივთიერებები მცირეა.

მაღაზიის დახლებზე ხშირად ვხვდებით სითხეებს წარწერით – შეიცავს ვიტამინებს, უზრუნველყოფს კანის დაცვას და ა.შ. კვლევამ აჩვენა, რომ ქალებს, რომლებიც ჭურჭლის გასარეცხად მსგავსი ტიპის საშუალებებს იყენებენ, კანის დაზიანება აღენიშნებათ ისევე, როგორც ქალებს ჩვეულებრივი საშუალებების გამოყენების შემთხვევაში.

გაითვალისწინეთ, ჭურჭლის სარეცხ საშუალებას არ უნდა ჰქონდეს მკვეთრი სუნი, რადგან ქიმიური არომატიზატორებიც მავნე ზემოქმედებას ახდენენ ორგანიზმზე.

14 აბსოლუტურად უსარგებლო წამალი, რომლებიც არაფერს არ კურნავენ

სამაგიეროდ ამ წამლებმა შესაძლოა დიდი ზიანი მიაყენოს თქვენს ორგანიზმს. არავისთვის არაა საიდუმლო, რომ ფარმაცევტული კომპანიები დაინტერესებულნი არიან, იმით, რომ, რაც შეიძლება მეტი მედიკამენტი გაყიდონ.

მოხერხებულმა და ჭკვიანმა ბიზნესმენებმა შექმნეს პროდუქციის გავრცელების და საზოგადოების ინფორმირების მრავალი ხერხები, როგორებიცაა მაგალითად: დეზინფორმაციები, რეკლამირება, პროპაგანდა და სხვა მრავალი ხრიკი, რის საშუალებითაც სხვადასხვა მედიკამენტმა საზოგადოებაში სახელი გაითქვა. მათი მიზანი ერთია – დაგვარწმუნოს ვიყიდოთ პრეპარატები, რომლის ეფექტურობა, როგორც მინიმუმ საზოგადოებაში მრავალ კითხვას ბადებს.

სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევებში ექიმები პაციენტებს უწერენ სხვადასხვა უსარგებლო წამლებს. ამის გარდა დიდ როლს თამაშობს ფრაზა „დედაჩემი

ყოველთვის ღებულობდა კორვალოლს გულისთვის“ და ე.წ. პლაცებოს ეფექტი თუ ადამიანს წამს, რომ წამალი მას უშველის, ბევრ შემთხვევაში ის წამალი ნამდვილად შველის.

ამაში არაფერი არ არის საშიში და თუ თქვენ არ გინდათ, რომ დახარჯოთ ფული, წაიკითხეთ ეს სია და დაიმახსოვრეთ.

ფრთხილად! ტექსტის წაკითხვისას შეიძლება პლაცებოს ეფექტმა იქონიოს გავლენა თქვენზე!

1. არბიდოლი

ნივთიერება: უმიფენოვირი

მედიკამენტი არის საბჭოთა კავშირის დროს გამოშვებული კერძოდ, 1974 წელს, არ არის აღიარებული მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ. კლინიკური კვლევები პირველად განხორციელდა მხოლოდ დსთ-ს და ჩინეთში.

მედიკამენტი სავარაუდოდ იყო ანტივირუსული იმუნომოდულაციური ეფექტით, რომელიც მკურნალობდა სხვადასხვა დაავადებებს, მათ შორის გრიპს, მაგრამ მისი ეფექტურობა ოფიციალურად ჯერ კიდევ არ არის დადასტურებული.

2. ესენციალე ფორტე

ნივთიერება: „ოლიენიფოსფატიდილ-ჰოლინ“.

სხვა დასახელებები: „ესენციალე ფორტე“, „ესენციალე H“ „ესენციალე“ „ფორტე“

ეს პრეპარატი იცავს ღვიძლს და ძალიან პოპულარულია, ისევე, როგორც ყველა სხვა მსგავსი დანიშნულების პრეპარატი, სინამდვილეში კი მას არ შეუძლია ღვიძლის დაცვა, მაგრამ მეცნიერებმა აღმოაჩინეს ერთი საინტერესო ფაქტი, „ესენციალეს“ მიღებისას, მან შესაძლოა ხელი შეუწყოს და არ განავითაროს ნაღვლის საწინააღმდეგო მოქმედებები, როგორიცა ვირუსული ქრონიკული ჰეპატიტი და სხვა.

ფაქტობრივად, ეს მედიკამენტი არის საკვები დანამატი.

3. პრობიოტიკები

ნივთიერება: ცოცხალი მიკროორგანიზმები.

მათი ეფექტურობა დადასტურებული არ არის: როგორც ჩანს უმრავლესობას მიკროორგანიზმებისა შეიცავს ეს პრეპარატები და არ ითვლებიან ცოცხალ ორგანიზმებად. შეფუთვის პროცესში პრეპარატი, კარგავს უამრავ სასარგებლო ნივთიერებას, ამ მედიკამენტის მოხმარების სანაცვლოდ უპრიანი იქნება თუ ერთ ჭიქა კეფირს მივირთმევთ.

4. მეზიმ ფორტე

ნივთიერება: პანკრეატინი.

რამდენიმე კვლევის თანახმად ნივთიერება პანკრეატინი დაგეხმარებათ საჭმლის მონელებაში, მაგრამ ეფექტური არ იქნება დიაბეტის, პანკრეატიტის, ტიაქარის და კუჭ-ნაწლავის ტრაქტის განსაკურნებლად.



5. კორვალოლი

ნივთიერება: ფენობარბიტალი.

სხვა დასახელება: „ვალოკორდინი“.

ფენობარბიტალი წარმოადგენს, საშიშ და ახასიათებს ძლიერი ნარკოტიკული ეფექტი.

რეგულარული მოხმარების დროს, დიდი დოზით იწვევს სერიოზულ (ნერვული სისტემის დარღვევებს, მეტყველების დაქვეითებას, გაძნელებულ სიარულს, აფერხებს სექსუალური ფუნქციების მოქმედებას) რის გამოც, იგი აკრძალულია შემდეგ ქვეყნებში: აშშ-ში, არაბეთის გაერთიანებულ ემირატებში და ევროპის ბევრ ქვეყანაში.

6. პირაცეტამი

ნივთიერება: პირაცეტამი.

სხვა დასახელება: „ლუცეტამი“, „მემოტროპილი“, „ნოოტროპილი“, „ცერებრილი“.

როგორც სხვა ნოოტროპული პრეპარატები, ცნობილია ძირითადად დსთ-ში. პირაცეტამის ეფექტურობა არ არის დამტკიცებული, მაგრამ არის მონაცემები არასასურველ ეფექტებზე, ბევრ განვითარებულ ქვეყანაში იგი არ არის დაშვებული.

7. ცინარიზინი

ნივთიერება: დიფენილტერაზინი.

სხვა დასახელება: „სტუგეზინი“, „სტუგერონი“, „სტუნაარონი“.

ცინარიზინი ძირითადად, იწარმოება ბანგლადეშში, მაშინ, როდესაც დასავლეთში მისი მოხმარება აკრძალეს 30 წლის წინ. რატომ? უკუჩვენებების სია არის ძალიან დიდი, ასე, რომ ავღნიშნოთ მხოლოდ ერთი და მნიშვნელოვანი უკუჩვენება, მისმა მოხმარებამ შეიძლება მიგვიყვანოს პარკინსონის მწვავე ფორმამდე.

8. ვალიდოლი

ნივთიერება: მენთოლის მჟავა.

სხვა სახელები: „ვალოფინი“, და „მენთოვალი“.

ძველი პრეპარატი დაუდგენელი ეფექტით. არავითარ შემთხვევაში არ გამოიყენოთ იგი მაშინ, როდესაც გულის პრობლემა შეგექმნებათ! იგი არაფერს არ იძლევა, ინფარქტის დროს ყველა წუთი გათვლილია!

9. ნოვო-პასიტი

ეს თითქოსდა დამამშვიდებელი პრეპარატი შეიცავს ბევრ სხვადასხვა მცენარეულ ექსტრაქტებს, მაგრამ ეს არის მხოლოდ ამოსახველებელი საშუალება.

ხშირად იგულისხმება ხველის საწინააღმდეგო პრეპარატად.

10. ჰედელიქსი

ნივთიერება: სუროს ფოთლების ექსტრაქტი.

აშშ-ს ჯანმრთელობის ეროვნულ ინსტიტუტში ჩატარებული ფართომასშტაბიანი კვლევის მიხედვით სუროს ფოთლების სიროფი არ არის ეფექტური ხველის მკურნალობისთვის. დალიეთ ჩაი ლიმონით, ან რაიმე მსგავსი ჩაი.

11. გლიცინი

ეს წამალი საერთოდ არ მოიხსენიება წამლების სიაში, ეს არის უბრალოდ ამინომჟავა. იგი შეიცავს ბიოაქტიურ დანამატს, სხეულს არ აყენებს არც ზიანს, მაგრამ არც კარგი მოაქვს მისთვის.

12. სინუპრეტი

ნივთიერება: სამკურნალო მცენარეები.

გერმანიაში პოპულარული ფიტოპრეპარატი, მწარმოებლების თქმით მისი მომზადება ყველა ადამიანს იდივიდუალურად შეუძლია სახლშის პირობებსიც კი. მოხარშეთ ნაღველას ძირი, მჟაუნა, ფურუსულა, ანწლი და ბზის ნაყოფი.

13. ტროქსევაზინი

ნივთიერება: ფლავონიდები.

ეფექტურობა დადასტურდა მხოლოდ ორი რუსული კვლევის შედეგად, რომელიც მკაცრად გააკრიტიკა დასავლეთის მეცნიერთა ჯგუფმა. მათი თქმით, ეს უკანასკნელი, უბრალოდ უარყოფით გავლენას ახდენს სხეულზე.

14. ნებისმიერი ჰომეოპათია

ერთხელ და სამუდამოდ გახსოვდეთ, რომ ჰომეოპათიური საშუალებები არ შეიცავს არც აქტიურ ინგრედიენტებს და არც სასარგებლო სხვა რაიმე ინგრედიენტებს. მათ არ აქვთ ოდნავი ეფექტი ადამიანის სხეულში ვირუსების და დაავადებების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ჰომეოთერაპია არ განსხვავდება პლაცებოს ეფექტისაგან, ამიტომ დაკავდით სპორტული ცხოვრებით, იკვებეთ ნატურალური საკვებით. არ გადაუხადოთ ფული შარლატანებს და არ იყიდოთ ჰომეოპათიური მედიკამენტები.

mkurnali.ge

გიორგი ჟონჟოლაძის გახსენება

ჩვენო საყვარელო მამიკო, 26 ნოემბერი შენი გარდაცვალების დღეა; უკვე ათი წელია რაც ობლად დაგვტოვე. მე და მერაბი ვნატრობთ იმ დღესაც კი, როცა ინვალიდის ეტლში იჯექი და ერთად ვიყავით. 8 დეკემბერს კი ოჯახური წრე მოვედით შენს საფლავზე, აგინთეთ სანთლები და მეათედ მტკივნეულად გავიხსენეთ შენი დაბადების დღე, ამ დღეს ხომ 42 წლის გახდი. რა მოხდებოდა, რომ ჩვენთან ერთად ეს დღე შენც გეზეიმა. მამა, ჩვენ ძალიან, ძალიან გვიყვარხარ და მუდამ ასეთი სიყვარულით დარჩები ჩვენს გულებში. ვეცდებით, რომ ისეთივე პატიოსნები, შრომისმოყვარეები და მეგობრულები ვიყოთ საზოგადოებაში, როგორც შენ იყავი. შენს ამაგს ჩვენს წინაშე არასოდეს დავივიწყებთ და არასოდეს შეგარცხვენთ. მშვიდად განისვენე, ჩვენო ძვირფასო მამა.

მერაბი და მარი ჟონჟოლაძეები

ოთარ ფირანიშვილი
... შენს ოჯახს ძალიან, ძალიან აკლიხარ...

ძნელია დაწერო მამაზე... ამ წერილს ვწერ და ვებერთელა სიცარიელესა და ტკივილს ვგრძნობ სულში.ძნელია ატირებული დედა ვერ ანუგეშო... გაჰყურებ კარებს მოლოდინით, მაგრამ... შენ სურათებს, მოგონებებს შემორჩი, მამა!.. შენს სურათებში კი სევდა და ნოსტალგიაა...

ჩვენო დიდო ტკივილო, შეუშრობელო ცრემლო და დიდო სიყვარულო! დღითიდღე მატულობს მონატრება. არ გვჯერა შენი გარდაცვალება... შვილებისთვის მამები არ კვდებიან! შენ ჩვენში ცოცხლობ და იცოცხლებ მუდამ, მაგრამ, ახალ წელს ის ტრადიციული, ლამაზი საახალწლო სამზადისი შენ რომ გიყვარდა, გაქრა და თითქოს ყველაფერი შენ გაიყოლე. მიჭირს წერა, სიტყვებს ვერ ვპოულობ. რომელი ერთი დაგწერო, ჭეშმარიტი ტკივილი, მონატრება, თუ სიყვარული... ხოდა, ვერ ვწერ, მამა. შენი გარდაცვალებიდან წელინადი შესრულდა, თუმცა ჩვენს გულებში უცვლელი ხარ, ცოცხალი და უკვდავი – მშობლები არ კვდებიან! უფალმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული... მსუბუქი ყოფილიყოს ყვარლის მიწა შენთვის და დამდეგ ახალ წელს გილოცავთ, მამა!.. ამ ქვეყნიდან იმ ქვეყანაში... შენს ოჯახს ძალიან, ძალიან აკლიხარ...

დიდი სიყვარულით, ტკივილით და მონატრებით შენი ოჯახი

ლიმონიანი წყლის დალევა სასარგებლოა, მაგრამ ერთი რამ გამორჩათ!

დილის ლიმონიანი წყლით დაწყება კარგ ჩვევად ითვლება მათთვის, ვინც საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნავს. უზმოზე მიღებული ეს მარტივი სასმელი მართლაც შესანიშნავად ატენიანებს და წმენდს ორგანიზმს, ამარაგებს საჭირო ნივთიერებებითა და ენერგიით.

ლიმონიანი წყალი უზმოზე

სასმლის მოსამზადებლად შეურიეთ 2 ს.კ. ახალგამოწურული ლიმონი ერთ ჭიქა თბილ წყალში. სურვილისამებრ, დაამატეთ 1 ჩ.კ. თაფლი. ჯანმრთელობის ელექსირი მზადაა!

ლიმონიანი წყლის სასარგებლო თვისებები

- აჩქარებს საკვების მონელების პროცესს;
- ეხმარება წონის დაკლებაში;
- წმენდს კანს;
- ასტიმულირებს იმუნურ სისტემას;
- მატებს ენერგიას;
- სუნთქვას ჯანსაღს ხდის;
- არეგულირებს მჟავიანობას;
- აქრობს ყელის ინფექციას;
- არეგულირებს წნევას;
- ასუფთავებს შარდსაწვეთ მილებს.

გაითვალისწინეთ, რომ ამ სასარგებლო სასმელსაც კი აქვს უკუჩვენება: შაქრის დიაბეტი, ალერგია ციტრუსზე. ხოლო იმისათვის, რომ ლიმონის მჟავამ კბილების ემალი არ დაგიზიანოთ, სასმელი დალიეთ კოქტეილის ჩხირით.

საკვებ პროდუქტებთან მიმართებაში, ერთად უნდა დავიცვათ სანიტარიული ნორმის წესები

დასაწყისი 1-ელ გვ. -ზე

– სამომავლოდ რაიონში არსებულ რა პრობლემურ საკითხებზე შეიძლება გაამახვილოს ყურადღება სურსათის უვნებლობის სამსახურმა, – თქვენი სამსახურიდან გამომდინარე დღეისათვის რა უფროა მისახედი და რის გაკეთებას აპირებთ?

– არის სავაჭრო ადგილები, სადაც მართლაც სანიტარიული ნორმებია დარღვეული, ამიტომ სადაც არის კეთილმოუწყობელი სავაჭრო შენობა თავის სავაჭრო ფართითაც და სანიტარიული პირობებითაც, მას ვაძლევთ გაფრთხილებას, რომ ამა და ამ ვადამდე უნდა გამოასწოროს მდგომარეობა. ამ მხრივ ჩვენ ყველანაირად ვცდილობთ სხვა უფრო მნიშვნელოვან ლაფსუსებს არ ჰქონდეს ადგილი.

ესაუბრა დალი ტატულიშვილი

P.S. ბოლო დროს საქართველოს მასშტაბით განსაკუთრებით გამკაცრდა ხორცისა და ხორცის პროდუქტების შემოწმება და რადგანაც რეალიზაციაში გაშვებისას დახლებზე აღმოჩნდა როგორც საქონლის, ასევე ცხენის და ვირის ხორცის პროდუქტები. ამიტომ დღეს, როგორც ეთერით, ისე ტელევიზიით ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, რომ საქონელს სასაკლაოზე მიყვანამდე უნდა ჰქონდეს მიბმული ნომერი თავისი კოდით, და მის გარეშე პირუტყვის სასაკლაოზე დაკვლა არ უნდა მოხდეს. ამით ერთგვარად გაუმჯობესდება ხორცისა და ხორცპროდუქტების წარმოება და მისი რეალიზაციაში გაშვება სანიტარიულ ჰიგიენური თვალსაზრისით. ხალხის მოთხოვნაც ხომ ეს არის, – იყიდონ ხარისხიანი პროდუქტი.

ქეთი კუნელაშვილი ბარსელონაში, ხოლო თინათინ ქიტესაშვილი ბაქოს უმაღლესი ლიგის გუნდში ასპარეზობენ

საქართველოს ნაკრებისა და ყვარლის სასპორტო სკოლის გოგონათა ნაკრების გუნდის ლიდერი ქეთი კუნელაშვილი პირველი ქართველი ხელბურთელია, რომელიც მსოფლიო ხელბურთის ერთ-ერთ გრანდში ესპანეთის უმაღლესი ლიგის გუნდში – კატალონიურ ბარსელონაში თამაშობს. მან, ამ ზაფხულს წარმატებით გაიარა სინჯები, გააფორმა კონტრაქტი ბარსელონასთან და შემოდგომიდან უკვე თამაშობს პირველ გუნდში. ჩვენი გუნდის მეორე მოთამაშე თინათინ ქიტესაშვილი აზერბაიჯანის ჩემპიონის – ბაქოს უმაღლესი ლიგის გუნდში ასპარეზობს.

საქართველოს ჩემპიონატის მიმდინარე გათამაშებაში ყვარლის ნაკრებები ლიდერობენ. გოგონებიც და ვაჟებიც გათამაშების ცხრილში მეორე ადგილზე იმყოფებიან და სპეციალისტების აზრით პერსპექტიულ გუნდებად არიან აღიარებულები.

მწვრთნელები:
ზურაბ ხარებაშვილი, გოჩა ღონიაშვილი

ნორჩი ძიუდოისტებიც წარმატებით ასპარეზობენ და მედლების სიუხვით გვანებივრებენ

მარიამ ხახუტაშვილი, მარი გასვიანი და თამარ ბაწილაშვილი

საგარეჯოში ჩატარებულ რევაზიშვილის სახელობის ტურნირზე სასპორტო სკოლის სამი გოგონა იღებდა მონაწილეობას. უნდა აღინიშნოს, რომ მათი დებიუტი წარმატებული გამოდგა და სამივე სპორტსმენი მედლებით დაგვიბრუნდა.

48 კგ. წონით კატეგორიაში შესანიშნავად იასპარეზა და ოქროს მედალი მოიპოვა მარიამ ხახუტაშვილმა. ამავე წონაში მესამე ადგილი დაიკავა თამარ ბაწილაშვილმა. აღსანიშნავია, რომ ორივე სპორტსმენი გრემის საჯარო სკოლის მოსწავლეა და მათი მწვრთნელები ავთანდილ და ტარიელ ხახუტაშვილები არიან.

63 კგ. წონით კატეგორიაში ვერცხლის მედალი მოიპოვა ახალსოფლის საჯარო სკოლის მოსწავლემ მარი გასვიანმა (მწვრთნელი მიხეილ ნადირაძე).

* * *

თბილისში ჩატარებულ საქართველოს ჩემპიონატის სალიცენზიო შეჯიბრებაზე სასპორტო სკოლის ოთხმა სპორტსმენმა: კახა გაგნიძემ, ვალერი ცერცვაძემ, ავთანდილ დაუდიშვილმა და გიორგი გულიაშვილმა მოიპოვეს ფინალურ შეჯიბრებაში მონაწილეობის ლიცენზია. (მწვრთნელები: გია გაგნიძე, ბადრი ყიფშიძე).

როინ მაღალთაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი

ყვარლის სასპორტო სკოლაში ჩატარდა სპორტის დამსახურებული მწვრთნელის, ევროპის ჩემპიონის როინ მაღალთაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ძიუდოში, სადაც წარმატებით გამოვიდნენ სასპორტო სკოლის აღსაზრდელები. მათ ორი ოქროს, სამი ვერცხლის და ექვსი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

წონითი კატეგორიის მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: გიორგი ცისკარიშვილი (30 კგ. წონითი კატეგორია), ვალერი ერკოშვილი (50 კგ. წ.კ.); ვერცხლის მედლები მოიპოვეს: შაკო გულაშვილმა (27 კგ.წ.კ.), დაჩი გაგნიძემ (55 კგ.წ.კ.) და მერაბ იოხმუსაშვილმა (60 კგ.წ.კ.), ხოლო ბრინჯაოს მედლებს დასჯერდნენ: ლუკა ვარდიაშვილი (27 კგ. წ.კ.), მიშა წმინდაშვილი და ილია აგურაშვილი (ორივე 42 კგ. წ.კ.), გიგი ხარებაშვილი (46 კგ. წ.კ.) ზურა სირაძე (50 კგ. წ.კ.) და ბადური ვარდოშვილი (66 კგ. წ.კ.).

მასალები მოამზადა ალექსანდრე გიგილოშვილმა

„არ არსებობს, რომ ვინმეს აწყინოს“ – მკითხველის რეცეპტი, რომლითაც გაიძლიერებთ იმუნიტეტს

1.300 გრ. ყავისფერი ქიშმიში, 2.300 გრ. ნიგოზი, 3.300 გრ. გარგარის ჩირი, 4.300 გრ. შავი ქლიავის ჩირი, 5.300 გრ.ლეღვის ჩირი, 6. 3 საშუალო ლიმონი (დაჭრილი და კურკა გაცლილი).

ეს ყველაფერი ჯამში ჩავყაროთ, ავურიოთ ერთმანეთში და ისე გავატაროთ ხორცსაკეპ მანქანაში.

მიღებულ მასას შევურიოთ 7.300 გრ. მაისის თაფლი. გადავიტანოთ მინის ქილებში და საჩაროზე კოვზით მივიღოთ დილით უზმოზე და საღამოს ძილის წინ.

არაჩვეულებრივი ორგანიზმის გამაძლიერებელი და იმუნიტეტის ასამაღლებელი საშუალებაა.

არ არსებობს, რომ ვინმეს აწყინოს. წელიწადში უნდა მიიღოთ 2-ჯერ: შემოდგომასა და გაზაფხულზე. წამლად შეგერგოთ!

თქვენი ვარ შვილი



ასე მიმართავდა მშობლიური ყვარლის მთებს რუსეთში სასწავლებლად მიმავალი ჭაბუკი ილია. ეს იყო გულის სიღრმიდან ამოსული სიტყვები, თავისი შეგნებული ცხოვრების დასაწყისში რომ წარმოთქვა მომავალმა ერის მამამ. დიახ, ილია იყო და დღემდე რჩება ამ მთების, ამ მიწის, ამ ქვეყნის ღვიძლ შვილად, „გრიგალთა, მეხთა, ქუხილთ შორის ქართვლად“ გაზრდილად; დარჩა მარად და ყველგან მასთან მყოფ თანამდევ უკვდავ სულად.

ილიაზე ბევრი თქმულა, დაწერილა და ბევრიც დაიწერება. მასზე მუდამ უნდა ვწერდეთ, მუდამ ვსწავლობდეთ მას, ვეწაფებოდეთ, როგორც ამოუწურავ სიბრძნის წყაროს – ჩვენი სწორი გზასავალის უტყუარ მაჩვენებლსა და მიმანიშნებელს.

წიგნი „თქვენი ვარ შვილი“, რომელიც საზოგადოება „წმიდა ილია მართლის გზა“ და გამომცემლობა „ხარებას“ თანამშრომლობის შედეგია, წარმოაჩენს ამ დიდი მოღვაწის დამსახურებას ერის წინაშე. მკითხველი ნახავს, რომ ილია იყო არა მხოლოდ უმაღლესი მსოფლიო რანგის მოაზროვნე, კორიფე, რომლითაც ნებისმიერი, თუნდაც დიდი და ცნობილი ერი, იამაყებდა, არამედ – ხელებდაკაპიწებული პრაქტიკული მოღვაწე თავისი ქვეყნის აწმყოსა და მომავლისათვის, მისი ბედისა და უბედობის ჭირისუფალი და გამზიარებელი, მისი მწარე ცრემლის მომწმენდი და ხვედრის შემამსუბუქებელი. ილია იყო იშვიათი პერსონა, პიროვნება, უფალი გამორჩეულ ადგილსა და როლს რომ განუსაზღვრავს ხოლმე თავისი ქვეყნის ისტორიაში და რომელიც სრულყოფილად ასრულებს თავის მისიას.

წიგნში თავმოყრილია ილია ჭავჭავაძის დამსახურებანი. აქცენტირებულია ის, რომ ხშირად მისი უნიკალური და ფასდაუდებელი რეკომენდაციები და მიდგომები სხვადასხვა, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ სფეროებს მოიცავდა – დაწყებული ხელოვნებიდან, სახალხო მეურნეობის დარგებით დასრულებული. მისი ზრუნვის საგანი სრულიად საქართველო იყო ყველა მისი პრობლემითა და სატკივარით; საქართველო, ვისი შვილიც იყო, სად დაბადება ხვდა წილად, ვის ცად აზიდულ მთებსაც მიმართავდა, თქვენი ვარო შვილი... თქვენ შორის ქართვლად გაზრდილიო... მას მერე ქვეყნიერება მოვლო, ბევრი გაიგო, ბევრი ნახა და დარჩა ამ მთების, ამ ქვეყნის შვილად, რომლის „აჩრდილნი საოცნებელთ წარსულთა წამთა სამარადისოდ დარჩა მის „გულშია ღრმათა!“ რომელიც, ეჭვი არ არის, იქიდანაც, ზეციური საქართველოდანაც ისევევ აგრძელებს ზრუნვას მისგან აგრერიგად შეყვარებული სამშობლოსათვის, როგორც აქ, თავისი მიწიერი სიცოცხლის მანძილზე, იმიტომ, რომ მარად და ყველგან მასთან არის, იმიტომ, რომ მისია შვილი!

გალინა ხარებაშვილი

20 პროდუქტი, რომელიც მაცივარში არასდროს არ უნდა შეინახოთ

მაცივარი პროდუქტების შესანახად იდეალური ადგილია, თუმცა არსებობს გარკვეული კატეგორიის პროდუქტები, რომელიც მაცივარში არასდროს არ უნდა შევინახოთ.

პროდუქტისთვის ხარისხის და გემოვნური თვისებების შესანარჩუნებლად შენახვის პირობების დაცვა მნიშვნელოვანი კომპონენტია.

ყავა – იგი უნდა ინახებოდეს გრილ და მშრალ ადგილას.

პური – როგორც წესი პურს სიცივე აშრობს. შესაბამისად უმჯობესია მაცივარში არ შეინახოთ.

პომიდორი – მაცივარში შენახვის შემთხვევაში ის გემოს დაკარგავს. პომიდორი სიცივეში შესაძლოა უსუნო და უგემური გახდეს.

ბადრიჯანი – აღნიშნული ბოსტნეული სიცივეზე მგრძნობიარეა და მაცივარში ხანგრძლივად ყოფნის შემთხვევაში, შესაძლოა ჯანმრთელობისთვის მავნეც გახდეს.

ხახვი – მაცივარში ხახვი რბილი და შეიძლება ობიანიც გახდეს.

ნიორი – მას არ უყვარს სიცივე და დახურული სივრცე.

თაფლი – ეს არის საკვები, რომელიც ოთახის ტემპერატურაზე განუსაზღვრელი დროით ძლებს. მაცივარში კი ის ძალიან სქელდება.

კეტჩუბი – მას საკმარისი კონსერვატები აქვს იმისთვის, რომ გაგრილების გარეშე შეინახოთ.

ფორთოხალი – ამ ციტრუსში მჟავიანობა მაღალია. მაცივარში ის მშრალი და მყიფე ხდება.

კარტოფილი – რეკომენდირებულია, რომ კარტოფილი მშრალ და გრილ ადგილას შეინახოთ. მაცივარი მას გემოს უკარგავს.

კიტრის მწნილი – ხშირად მას მაცივარში ინახავენ, თუმცა სინამდვილეში მარილის მაღალი შემცველობის გამო მას მაცივარი საერთოდ არ სჭირდება.

დონატები – რამდენიმე დღე ის ოთახის ტემპერატურაზე კარგად ინახება, თუმცა უმჯობესია მალევე მიირთვათ.

შოკოლადი – ხშირად ზამფხულში შოკოლადს მაცივარში ინახავენ, რათა არ დადნეს. სინამდვილეში კი ამის გამო შოკოლადი თავის არომატს კარგავს.

კიტრი – უმჯობესია კიტრი ოთახის ტემპერატურასთან შედარებით გრილ ადგილას შევინახოთ, მაგრამ ეს არ უნდა იყოს მაცივარი.

საზამთრო – ყველასთვის ცნობილია, რომ დაჭრილი საზამთრო ყველაზე კარგად მაცივარში ინახება, თუმცა აშშ-ს სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, დაჭრილ საზამთროზე მაცივარი უარყოფითად მოქმედებს.

ვაშლი – ხილის უმეტესობა უფრო გემრიელია, როცა მაცივარშია გაციებული, თუმცა ვაშლი 1-2 კვირა ოთახის ტემპერატურაზე კარგად ძლებს, შესაბამისად უმჯობესია მის გარეშე შევინახოთ.

მსხალი – ვაშლის მსგავსად უმჯობესია მსხალიც ოთახის ტემპერატურაზე შევინახოთ, რადგან სიცივე თავის არომატს უკარგავს.

წიწაკა – მთავარია წიწაკა მშრალ ადგილას ინახებოდეს.

ფქვილი – მაცივარში ფქვილის შენახვით ის არ დაზიანდება, თუმცა აუცილებელი არ არის.

გოგრა – ის უნდა ინახებოდეს მშრალ და გრილ ადგილას, თუმცა არა მაცივრის ტემპერატურაზე.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. დამფუძნებელია ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო გამომცემელი შპს „მედია ცენტრი“. გაზეთში გამოქვეყნებული წერილების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოტანილი ფაქტების, არგუმენტებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.

დირექტორი
ალექსანდრე გიგილოშვილი
მოადგილე
ნუგზარ ღონიაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
ია გიგიაშვილი
კორესპონდენტი
დალი ტატულიშვილი

რედაქციის მისამართი:
ქ. ყვარელი, კუდიგორის №2
საკონტაქტო ტელეფონი:
22-01-86